გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: gazetiilori@gmail.com

№371 (430) 12-19 ივლისი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## ევროკავშირი იშლება, თურქეთმა ბოდიში მოუხადა რუსეთს, რა გზას დაადგება საქართველოს ხელისუფლება?

გვ.2-9

## ერთი აფხაზური სიმღერის ისტორია

გვ.6



## ერთხელ ოდესაში, ანუ “ლიკვიდაცია 2”

გვ.6



## ჰამლეტ ჭიპაშვილი: ბრიტანეთის რეფერენდუმი და საქართველო

გვ.7

## ნუგზარ კვაშილავა: უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

გვ.11

## რუსეთის მეფის შთამომავალი საქართველოს მართლმადიდებლურ ცენტრად გამოცხადებას ითხოვს

გვ.3

## ზუგდიდის საკრებულომ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა დაამტკიცა



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა დაამტკიცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრესსამსახურიდან აცნობეს, გერბის ფარის ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს საწმისი, რომელზეც მოთავსებულია მეწამული მცირე ფარი – ცენტრში ღვთისმშობლის ოქროს კვართით. ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი – სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი ნახევრად ღია ჭიშკრით. გერბის ფარს გარს არტყია შესამკობელი – ვაზის ფოთლების ვერცხლის ორნამენტი. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი “ზუგდიდი”. სადევიზე ბაფთის ორივე მხარეს გამოსახულია ორი მცირე მეწამული ჰერალდიკური ჯვარი.

რაც შეეხება ქალაქის დროშის აღწერილობას, იგი წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის, ლაჟვარდისფერ ქსოვილს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ჰერალდიკური ფარი ოქროს მცირე არშიით – ცენტრში ღვთისმშობლის ოქროს კვართით. დროშის პროპორციაა 2:3.

## კუკური ფიფია: რა გადაგვარჩენს ქართველებს, პოლიტიკური ამბიციები, თუ ჭეშმარიტების ბოლომდე გახსნა?

გვ.4

## ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი:

ეს მეც მევალება და თქვენც გევალებათ, ბატონო ზაურ...

გვ.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროკავშირი იშლება, თურქეთმა ბოდიში მოუხადა რუსეთს, რა გზას დაადგება საქართველოს ხელისუფლება?

***ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლა-დარჩენის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება ჯერ კიდევ 2015 წელს დაიგეგმა და, აი, 2016 წლის 23 ივნისს ნისლიანი ალბიონის მოსახლეობამ ევროკავშირის რიგებიდან გამოსვლა გადაწყვიტა. ამის შემდეგ მსოფლიო ალაპარაკდა, რომ ევროკავშირი "დომინოს" პრინციპით დაიშლება.***

არადა, 2012-13 წლებში გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოსთან"** ინტერვიუებში პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ევროკავშირში საქართველოს შესვლის უპერსპექტივობაზე ვრცლად და დასაბუთებულად ისაუბრა, მეტიც – მან ამ სტრუქტურის დაშლის სავარაუდო თარიღიც კი დაასახელა: **"ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა ეფემერული არ არის, იგი, უბრალოდ, არ არსებობს. ჯერ ერთი, ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების პროცესი და ახალ წევრებს აღარ მიიღებს; მეორე – წამყვანი ევროპული ქვეყნები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის ნაწილად; მესამე – ევროკავშირი რომც ფართოვდებოდეს, მასში სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს გაწევრიანება მხოლოდ თურქეთის გაწევრიანების შემდეგ იქნება შესაძლებელი. თურქეთი, მოგეხსენებათ, უკვე წლებია, დაჟინებით ითხოვს ევროკავშირში მიღებას და, რამდენჯერაც უნდა მოითხოვოს, მას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ; და მეოთხე – ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის მანძილზე ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით".**

ქართული ანდაზაა ასეთი: **"ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო".** მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა დაშლა დაიწყო და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ერთ-ერთ ევროპულ პოლიტიკურ თოქშოუში განაცხადა, რომ ნატო ქედს უხრის რუსეთს და უარს ამბობს საქართველოს მიღებაზე, სანამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს. არადა, ამ ვითარებაზე ჩვენს გაზეთთან საუბარში ალექსანდრე ჭაჭიამ ჯერ კიდევ 2012 წელს გაამახვილა ყურადღება: **"საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისა და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართველ საზოგადოებაში".**

დასამალი არ არის ისიც, რომ ნატოში გაწევრიანება, დიდი ხანია, იქცა ფარსად, კომედიის ელემენტებით, უფრო მეტიც, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა აბუჩად იგდებდა საქართველოს, აქეზებდა მას რუსეთის წინააღმდეგ, ამუნათებდა – აქაოდა ნატოს კარი ღიააო, მაგრამ ეს **"ღია კარი"** დღესაც ცხრაკლიტულით არის დაგმანული, ხოლო ილუზიებსა და ფარსს უკვე შეეწირა საქართველოს ტერიტორიები და ჩვენ თვალწინ ეწირება საქართველო, როგორც სახელმწიფო, ვეწირებით ქართველები, როგორც ერი. სწორედ ამიტომ აღნიშნა ალექსანდრე ჭაჭიამ 2013 წელს ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომ **"პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს"**

ისე, რომ დავაკვირდეთ, ნატოს ხელმძღვანელობა კონსპირაციით თავს არ იკლავდა და არც არასოდეს ცდილობდა, დაემალა, რომ საქართველოს გამო გამონაკლისს არ დაუშვებდა – არ დაარღვევდა თავისი წესდების მე-5 პარაგრაფს, სანამ საქართველო თავის ტერიტორიულ პრობლემებს არ გადაწყვეტდა, ანუ არ აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რადგან სხვანაირად – რუსეთთან ომით – მათი დაბრუნება არ შეუძლია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საწინააღმდეგოს, წლების განმავლობაში, ჯიუტად გვიმტკიცებდა ქართული პოლიტიკური ელიტის უდიდესი ნაწილი, რომელიც, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას თუ დავესესხებით, ან ბრიყვია, ან უნამუსო მატყუარა, რადგანაც იმის უტიფრად მტკიცება, რომ ჩვენ ნატოში შევალთ და **"იბერია გაბრწყინდება"**, შეუძლია მხოლოდ ბრიყვს ან ადამიანს, რომელსაც უკვე აღებული აქვს 30 ვერცხლი და ჯამაგირი ავალდებულებს, სიცრუე და ბლეფი სიმართლედ და რეალობად გაასაღოს.

ფაქტია: ჩვენს თვალწინ იქმნება ახალი პოლიტიკური წესრიგი. ერთპოლუსიანი მსოფლიო, რომელშიც ჩვენი კურატორი ამერიკა ერთპიროვნულად წყვეტდა ერებისა და სახელმწიფოების ბედს, აღარ არსებობს. ამის დასტურია თუნდაც ჩვენს რეგიონში აშშ-ის უახლოესი პარტნიორის, ნატოს წევრი თურქეთის პრეზიდენტის მიერ რუსეთისთვის ბოდიშის მოხდა ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო. როგორც ცნობილია, აქამდე ერდოღანი ბოდიშის მოხდაზე კატეგორიულ უარს ამბობდა, მაგრამ, როგორც კი ევროკავშირის დაშლის პროცესი დაიწყო, მეორე დღესვე მოსკოვს თურქეთის პრეზიდენტის საბოდიშო წერილი აახლეს. თურქეთის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ახალ პოლიტიკურ რეალიებს. საინტერესოა, რა გზას დაადგება საქართველოს ხელისუფლება – კვლავ განაგრძობს ბრიყვივით **"ნატო-ევროკავშირის"** ლუღლუღს თუ გამოფხიზლდება და ახალი რეალიების შესაბამისად დაიწყებს მოქმედებას.

ამ საკითხებზე ქართველი პოლიტოლოგები გვესაუბრებიან.

### *"დღეს ევროკავშირში გაერთიანებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან მისი ბედი გაურკვეველია"*

**– ქალბატონო თამარ, ევროკავშირის დაშლის ალბათობა ძალიან დიდი იყო, ამაზე ჯერ კიდევ 2012 წელს პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში განაცხადა. კარგა ხანია, ყველა "მოაზროვნე" პოლიტოლოგიც ამაზე ლაპარაკობს... რა სჭირს საქართველოს ხელისუფლებას?**

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი:** – ალექსანდრე ჭაჭიას პროგნოზები ხშირად მართლდება. კვალიფიციურმა, პატიოსანმა პოლიტოლოგებმა, რომლებიც სწავლობენ ევროპაში მიმდინარე პროცესებს, იცოდნენ, რომ ევროპაში საქმე ცუდად იყო, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ელიტა ამ ყველაფერს არასწორად აწვდიდა მოსახლეობას. ხელისუფლების შიგნით რა ხდება? მართლა სჯეროდათ, რასაც ამბობდნენ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში არსებული თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება არასწორ ინფორმაციას აწვდის ხალხს, რადგან საინფორმაციო საშუალებები ჩვენი პოლიტიკოსების თვალსაზრისს გამოხატავენ. ხელისუფლება მასმედიით მანიპულირებს. ეს ცუდი პროცესია, რადგან ხელისუფლება რეალობას აცდენილია. თუ ხელისუფლება თვალსაზრისს არ შეიცვლის და ხალხის ნება-სურვილს არ გაითვალისწინებს, მისი ლეგიტიმაციის საკითხი ეჭვქვეშ დადგება.

**– ევროკავშირის დაშლის დაწყებამ ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსები ძალიან დააბნია. ანალოგიური რამის თქმა შეიძლება ქართველ პოლიტიკოსებზეც. ადეკვატურია შეფასებები, რომლებიც ახლა ყველა ქვეყნიდან ისმის? დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება შეფასდა, როგორც "დიდი საფრთხე".**

– ევროკავშირი რეალური საფრთხის წინაშეა, ეს პროცესი არ შეჩერდება, დომინოს პრინციპით წავა. ბევრმა ქვეყანამ უკვე დაიწყო ხელმოწერების შეგროვება ბრიტანეთის ანალოგიური გადაწყვეტილების მისაღებად. ევროკავშირი გადაიქცა დიდ ბიუროკრატიულ მექანიზმად, რომელშიც გადაწყვეტილებების მიღება ევროპარლამენტის დეპუტატებს აღარ შეუძლიათ. მათ აძლევენ დირექტივებს, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ მაინც უნდა შევიდნენ ევროკავშირში და რომ, შესაძლოა, პროცესები დაჩქარდეს, არასერიოზულნი არიან. დღეს ევროკავშირში გაერთიანებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან მისი ბედი გაურკვეველია. არ მესმის ქართველი პოლიტიკოსების. ვფიქრობ, ასეთ დროს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იაზროვნოს ერმაც და ბერმაც, განსაკუთრებით კი – პოლიტიკაში მყოფმა ადამიანებმა. რეალობას მოკლებული განცხადებების მოსმენით ხალხი დაიღალა. საქართველოს პოლიტიკა უნდა შეიცვალოს, არ შეიძლება მიაკვდე ერთ ვექტორს, სხვა მხარესაც უნდა გაიხედო.

**– თურქეთის პრემიერმა რუსეთს თვითმფრინავის ჩამოგდების გამო მოუბოდიშა. როგორ ახსნით ამ ფაქტს?**

– თურქეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ბევრი რამ დაკარგა, რადგან რუსეთი მისი მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო.

თურქეთს რუსული თვითმფინავი, არ მგონია, პირადი მოსაზრებით ჩამოეგდო, მის ზურგს უკან ვიღაც იდგა, თურქები შეაცდინეს. დღეს თურქეთი მართლაც მძიმე ვითარებაშია, რადგან ურთიერთობა გართულებული აქვს ბევრ ქვეყანასთან. მის გარშემო რთული პროცესები მიმდინარეობს – დიდი სახელმწიფოები იშლება, ახალი სახელმწიფოები იქმნება, შესაძლოა, თურქეთის ტერიტორიაზე ქურთების სახელმწიფო შეიქმნას, ამიტომ, რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება ერდოღანის დიდი შეცდომა იყო. ჩანს, ეს გააანალიზა.

**– მსგავს ვითარებაში, როდესაც ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც თურქეთია, ბოდიშს უხდის რუსეთს, სწორია საქართველოს პოლიტიკა რუსეთის მიმართ?**

– ქართული პოლიტიკა თავიდან ბოლომდე შეცდომაა. ვალდებულება, რომელიც საქართველომ დაიკისრა, შეცდომა იყო, ვგულისხმობ, რუსეთის გაღიზიანების პოლიტიკას. საქართველოს კონსტრუქციული როლი უნდა ეთამაშა, თუმცა ამ შეცდომის გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია.

### *"არც ევროკავშირში მიგვიღებენ და არც ნატოში, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს მიღების თემა უნდა დაიხუროს"*

**– რატომ ვერ მიხვდნენ ქართველი პოლიტიკოსები, რომ ევროკავშირი დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა?**

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:** – ქართველი პოლიტიკოსები როდესმე რამეს მიმხვდარან? რამის პრევენცია მოუხდენიათ? ომის საშიშროების წინაშე რომ ვიდექით 2008 წელს, გაიგეს? ან დღეს რაიმე საფრთხეს გრძნობენ? ვერ ვხვდები, რატომ გიკვირთ ჩვენი პოლიტიკოსების დაბნეულობა?!

**– რატომ ხდება ასე, ინფორმაციულ ვაკუუმში არიან?**

– არა, ყველაფერი ძალიან კარგად იციან, მაგრამ დღევანდელი დღით ცხოვრობენ. მოუსმინეთ პრემიერ კვირიკაშვილის განცხადებებს, უფრო ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანი მსოფლიოში არ მოიძებნება. ეს კი იმან გამოიწვია, რომ ჩვენი მთავრობის წევრები რეალობას მოწყვეტილნი არიან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ ასე მოქცევას თანამდებობა ავალდებულებს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ისინი სიმართლეს თვალებში ჩახედავენ და ხალხს ყველაფერს ეტყვიან. თუ ხალხმა ყველაფერი შეიტყო, სახელისუფლო პარტიას ხმას ვინ მისცემს?!

**– საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი იმედგაცრუებულია,– 2008 წლის შემდეგ ნათლად ითქვა, საქართველო ნატოში გაწევრდებოდა, მაგრამ ნატო რუსეთს ქედს უხრისო და...**

– ვინ უთხრა 2008-ში ხიდაშელს, რომ ნატოში შევიდოდით? არავის უთქვამს. ხელისუფლება ტყუოდა მაშინაც და ტყუის დღესაც. ყველა ხელისუფლების პრინციპია – დღეს ვიტყვი ტყუილს და ხვალ სხვა ხელისუფლებამ, რაც უნდა, ის ქნას. სულელი არავინ არის, მათ ყველაფერი მშვენივრად იციან, მაგრამ საქმეს ასე სჭირდება.

არც ევროკავშირში მიგვიღებენ და არც – ნატოში, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს მიღების თემა უნდა დაიხუროს. ყველას რაღაც ეშველება, ჩვენ კი, არ ვიცი, რა ბედი გველის. ევროპაც გადარჩება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბედი აქამდე გაურკვეველია. მსოფლიოში დიდი ცვლილებებია...

თურქეთის პრემიერმა რუსეთს ბოდიში მოუხადა თვითმფრინავის ჩამოდგებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი გასათვალისწინებელი ძალაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ევროპაში ამხელა რყევებია. ყველაფერთან ერთად თურქეთი უკმაყოფილოცაა, რადგან, რასაც დაჰპირდნენ, არაფერი გაუკეთეს. იქ ეკონომიკური კრიზისიც დაიწყო...

**– როდესაც თურქეთი ამხელა მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთს, რა უნდა ქნას საქართველომ?**

– თუ თურქეთი რუსეთის ფაქტორს ითვალისწინებს, საქართველომ ეს ორმაგად უნდა გააკეთოს. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთშია მიწვეული, ის აუცილებლად უნდა წავიდეს იქ. მესმის, რომ გადაწყვეტილებას სხვები იღებენ, მაგრამ ახლა კუდაბზიკობის დრო არ არის. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ზაფხულს იმას მაინც უნდა მიაღწიოს, რომ რუსეთთან უვიზო მიმოსვლა აღადგინოს. შემოდგომა წინაა, მოსავალი გასატანია, რუსეთთან უვიზო მიმოსვლა ქართულ ეკონომიკას სულზე მოუსწრებს.

**– უნდა შეცვალოს თუ არა ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკური ვექტორი?**

– ვექტორის შეცვლას ძლიერი მთავრობა სჭირდება, ძლიერი პოლიტიკური ნებითა და ნებისყოფით, ჩვენ კი სუსტი მთავრობა გვყავს.

ჩვენ ვერ ვიქეცით ევროპელებად. ხომ ხედავთ, თვითონვე ამბობენ, საარჩევნო კანონმდებლობა გერმანულ მოდელზე იმიტომ ვერ გადაგვყავს, მზად არ ვართო. მაშ, რა პრეტენზია გვაქვს ევროპელობაზე, როგორ გავხდებით ევროპის შემადგენელი ნაწილი?!

### *"იძულებულნი ვართ, გავითვალისწინოთ რეალური პოლიტიკური ტენდენციები, რომლებსაც თვით ევროპის ძლიერი სახელმწიფოები უწევენ ანგარიშს"*

**– ევროკავშირის დაშლას თითქმის ყველა, ასე ვთქვათ, მოაზროვნე პოლიტოლოგი პროგნოზირებდა. საქართველოს ხელისუფალთ კი ჯიუტად არ სურთ ამ გზიდან გადახვევა. როგორ ფიქრობთ, ეს ინფორმაციის არქონის გამო ხდება?**

**სიმონ კილაძე, ანალიტიკოსი:** – საერთაშორისო ორგანიზაციების წარმოქმნასა და მათ დაშლაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია. დაშლა-გაქრობის პრობლემები მსოფლიოს უპირველეს უნივერსალურ ორგანიზაციებსაც აქვთ ხოლმე და, ამ მხრივ, გამონაკლისი არც ევროკავშირია.

სხვა საქმეა, რამდენად მტკიცეა ინტეგრაციის დონე, რომლის საფუძველზეც ამა თუ იმ ორგანიზაციას კრიზისის გადატანა შეუძლია. **"ნისლიანი ალბიონი"** თავიდანვე დისტანცირებდა ევროპის კონტინენტური ნაწილისგან – ბრიტანეთი არ შედის შენგენის ზონაში, არ შედის არც საერთო სავალუტო არეალში, ანუ ევროზონაში. დიდი ბრიტანეთის პოლიტიკაში ასეთი ე. წ. ცენტრიდანული სეპარატიზმი თანდათან ძლიერდებოდა (გავიხსენოთ ლონდონის მწვავე კრიტიკა ბრიუსელის ზოგიერთი ნაბიჯისადმი, წინააღმდეგობა ევროკავშირის მიგრაციული პოლიტიკის მიმართ) და მან პიკს 23 ივნისს მიაღწია, როცა რეფერენდუმი ჩატარდა ევროკავშირიდან გასვლა-არგასვლის თაობაზე.

თუმცა, დიდი ბრიტანეთის გასვლა არ ნიშნავს ევროკავშირის დასასრულის დასაწყისს. როგორც ვთქვი, ორგანიზაციის კონტინენტური წევრები მაინცდამაინც არ ჩქარობენ, ოფიციალურად მიბაძონ **"ნისლიან ალბიონს".**

*(გაგრძელება მე-9 გვერდზე)*

# რუსეთის მეფის შთამომავალი საქართველოს მართლმადიდებლურ ცენტრად გამოცხადებას ითხოვს



**...რუსული მამაო ჩვენოში" წერია «спаси нас от лукавого» – გვიხსენ ჩვენ არა ბოროტისაგან, არამედ მზაკვარისაგან. მზაკვარი არსით მეტია, ამიტომ მზაკვარზეა მეტი ყურადღება გამახვილებული...**

გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის ხელმძღვანელი, ბატონი **ბესო მიქავა.**

**– ბატონო ბესო, ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში სტუმრად იმყოფებოდა რუსეთის სამეფო კარის რიურიკების შთამომავალი. რა კავშირები გაქვთ მასთან?**

– გიორგი რომანოვი მას შემდეგ დამიკავშირდა, რაც ინტერნეტში ჩემს მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსანზე წმინდა გიორგის ხატი ნახეს. ხატზე გამოსახულია, როგორ გმირავს წმინდა გიორგი არა დრაკონს, არამედ მელას, მზაკვრობის სიმბოლოს.

დღეს ჩვენი მტერი არის არა დრაკონი, ანუ უხეში ძალა, რომელიც, ისედაც ცხადია, რომ ბოროტებაა, არამედ მზაკვრული, ფარისევლური სახით მოსული ძალა. მელა არის მზაკვრობის სიმბოლო, რომელიც მოდის დემოკრატიის სახელით და სიყვარულით.

საფრთხე და საშიშროება ჩვენს წინაღმდეგ, რუსეთის წინააღმდეგ და, საერთოდ, კაცობრიობის წინააღმდეგ მოდის, ვითომდა, სიყვარულის სახელით.

როგორც, მაგალითად, მამათმავლები, რომლებიც ამბობენ, რომ ერთმანეთის სიყვარულით არიან სავსე, სინამდვილეში, მათი მისწრაფებები არის ბოროტება, ეს არ არის სიყვარული და არც შეიძლება იყოს.

**– ისინი ამბობენ: თქვენ არ იცით, ვერ გრძნობთ, არადა, ეს სიყვარულიაო.**

– ეს არის ღვთის გმობა.

**– რატომ, ღმერთი ხომ სიყვარულს ქადაგებს? მას არასდროს დაუყვია კლასიფიკაციებად სიყვარული.**

– ღმერთმა როცა შექმნა სამყარო ერთ დღეს, მეორე დღეს და ა.შ. ბიბლიაში მითითებულია, რომ მოეწონა. ე. ი. გრძნობიერ საწყისებზეა ყველაფერი აგებული და დაფუძნებული. გრძნობა, რომელიც სიკეთის ნაყოფს, ანუ მომავალს არ იძლევა, არის ფუჭი. ასე რომ არ იყოს, ღმერთი ადამს ქალს კი არ შეუქმნიდა, არამედ მეორე ადამს შექმნიდა. სამყაროში კი ისეთი არსებებიც არიან, რომლებიც თვითგამრავლებით გამოირჩევიან. ადამიანსაც ასე გააჩენდა, ქალისა და მამაკაცისგან ნაშობი მომავალი თაობა რომ არ ნდომოდა ღმერთს. კაცისა და კაცის, ან ქალისა და ქალის ურთიერთობას სიყვარული ვერ დაერქმევა. ეს არის არაფრისმომცემი ურთიერთობა და სიბილწე.

**– ხატზე გამოსახულ მელას მივუბრუნდეთ.**

– უკეთ რომ აგიხსნათ, გეტყვით, რომ რუსულ **„მამაო ჩვენოში"** წერია «спаси нас от лукавого» – გვიხსენ ჩვენ არა ბოროტისაგან, არამედ მზაკვარისაგან. მზაკვარი არსით მეტია, ამიტომ მზაკვარზეა მეტი ყურადღება გამახვილებული.

ეს ხატი რომ შევქმენი და ინტერნეტით გავავრცელე, რუსულად და ინგლისურად ახსნაც დავურთე.

იმ ხანებში დამიკავშირდა რუსი ხატმწერი სვეტლანა როგალი, რომელმაც ბრმამ დაიწყო ხატწერა და თვალი შემდეგ აეხილა. მან მთხოვა, მიმეცა ნება ამ ხატის ასლი დაეხატა.

ვისაუბრეთ ინტერნეტით. მერე კიდევ სხვა ჯგუფიც დამიკავშირდა. ასე მოვიდა ჩემამდე გიორგი რომანოვი. გადავწყვიტეთ შეხვედრა. მე დავპატიჟე ისინი საქართველოში. ჩამოსვლა დაგეგმეს, მაგრამ მანამდე წერილი გამოაგზავნეს პატრიარქის სახელზე. ძლივძლივობით გადავეცი ეს წერილი პატრიარქს და როგორც იქნა, შედგა შეხვედრა რუს სტუმრებსა და პატრიარქს შორის პატრიარქის აღსაყდრების დღეს. გიორგი რომანოვი გამოვიდა სიტყვით და ილაპარაკა არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, არამედ საქართველოს როლზე საქრისტიანო სამყაროში. მან გადმოგვცა წერილი, სადაც აღნიშნული იყო რუსეთის იმპერიის ბოდიში იმ ქმედებებზე, რაც რუსეთმა ჩაიდინა ჩვენს მიმართ.

შემდეგ ჩამოსვლაზე მან შემოგვთავაზა, საქართველო გამხდარიყო მართლმადიდებლობის ცენტრი მსოფლიოში და არა იერუსალიმი, რადგან, ბოლო ჟამს, როგორც წინასწარმეტყველებიც ამბობენ, იერუსალიმი დაკარგავს იმ მადლს, რაც მას ჰქონდა, პირიქით, ის სიბინძურის ბუდე გახდებაო. ცნობილია, რომ ბოროტი იმ ადგილებს და იმ სიწმინდეებს ებრძვის და ბილწავს, სადაც მაცხოვარს გაუვლია.

მოკლედ, რუსეთის დელეგაციამ გიორგი რომანოვის ხელმძღვანელობით აღიარა, რომ თუ არ გადარჩება საქართველო, ვერ გადარჩება რუსეთიც.

გიორგი რომანოვი მცხეთაში წავიყვანე მამა გაბრიელის საფლავთან და იქ მრავალი ისეთი სასწაული მოხდა, არავინ რომ არ ელოდა.

**– კერძოდ?!**

– ისეთ ქალბატონს შევხვდით, რომლისთვისაც მამა გაბრიელს სიცოცხლეში უთქვამს – შენ შეხვდები ადამიანს, რომელიც რუსეთის მეფის შთამომავალი იქნებაო და ა.შ. არ ვილაპარაკებ ახლა სხვა ღვთიურ მინიშნებებზე.

**– ზემოთ თქვით, მართლმადიდებლობის ცენტრად აღიარება მოინდომა რუსმა სტუმარმაო. საქართველოში ოფიციალურ რელიგიად მართლმადიდებლობა ჯერ გამოცხდებული არაა.**

– მთელი მზაკვრობა სწორედ მაგაშია. ვინც მართლმადიდებლობის გამოცხადებას ოფიციალურ რელიგიად ითხოვს, ის არის უვიცი. IV საუკუნეში მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ საქართველო მართლმადიდებლურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და ეს **„ბრძანება"** არავის შეუცვლია.

მართალია, ცარიზმმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა, ის დღემდე იმკის ამ ცოდვის შედეგებს, თუმცა რუსეთში იყო ნეტარი დედა მატრონას და სხვა წმინდანთა გამოცხადებები იმის გამო, რომ მათ ივერიას, დედაღვთისას წილხვედრს, გააუქმეს ავტოკეფალია...

მკითხველს კარგად ეხსომება, შემდეგ, 1943 წელს რუსეთის პატრიარქის ხელახალი კურთხევა მცხეთაში, საქართველოში, როგორც ავტოკეფალურ ეკლესიაში, რადგან საქართველოს პატრიარქმა კირიონმა 1917 წელს საქართველოს ეკლესია დამოუკიდებლად გამოაცხადა.

თავის მიმართვაში, რომელიც გიორგი რომანოვმა პატრიარქს მიართვა, წერია ისიც, რომ საქართველოს, რადგან ღვთისმშობლის ქვეყანაა, უნდა დაუბრუნდეს ყველა ის ტერიტორია, რაც მას წაართვეს: ეს ნიშნავს, ღვთისმშობელს რაიმე წაართვაო, – თქვა გიორგი რომანოვმა. მან, ასევე, იმედი გამოთქვა, როცა იქნება, საქართველო მართლმადიდებლობის ცენტრი გახდება და ეს დიდ შვებას მისცემს სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებსაცო. ღმერთმა ისმინოს!

**ირანდა კალანდაძე**

# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

## ეს მეც მევალება და თქვენც გევალებათ, ბატონო ზაურ...

...რადგან ბატონი ზაურ ნაჭყებია ასე გაისარჯა და ჩემს **„მოკლე რეპლიკა"**-ზე საკუთარი **„ივერიონიდან" „დამირეპლიკა",** – რა გაეწყობა, უნდა შევეცადო მასზე მოკლედ მაინც ვუპასუხო... მაშ ასე, უწინარესად გულწრფელად ვადასტურებ ჩემს ღრმა პატივისცემას მისი პერსონისადმი (სხვა რომ არაფერი, უამრავი საერთო მეგობარი გვყავს)... მიმაჩნია, რომ ბატონი ზაური ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული მოღვაწეა და ასეთი ადამიანის მიმართ შეუძლებელია სიმპათიებით არ ვიყო განმსჭვალული!.. ახლა, რაც შეეხება ჩემი **„მოკლე რეპლიკისადმი"** მის დამოკიდებულებას:

ბატონო ზაურ, ჩემდა გასაკვირად, თქვენ, როგორც ჩანს, საკმარისი დაკვირვებით არ წაგიკითხავთ ის, თორემ დარწმუნებული ვარ, რომ მასში აუცილებლად დაინახავდით იმას, რაზეც იქნა იქ აქცენტები გამახვილებული... მე **„მოკლე რეპლიკაში"** მოკლედ ჩამოვაყალიბე ჩემი მოსაზრება საკითხისადმი... მოკლედ ჩამოვთვალე რამდენიმე მიზეზი, რომლის წყალშეუვალობაშიც ეჭვი ნამდვილად არ მეპარება... კიდევ რა შემიძლია დამატებით ვთქვა... ალბათ ის, რომ თემა მეგრელთა ყბადაღებული მხარდაჭერისა იმ ავადსახსენებელი უფშვიტინესადმი – რბილად რომ ვთქვა, ძალიან გაზვიადებულია! არ ჰყავს იმ ლობორდოს და მის ნაცხროვას თქვენს და ჩემს მშობლიურ კუთხეში იმდენი მომხრე, რამდენადაც სურთ ეს წარმოაჩინონ! ნაცბანდა და მისი მოწინააღმდეგეებიც კი, რატომღაც ძალიან ცდილობენ ამ ე. წ. მხარდაჭერის გაბუქებას... თუ რატომ ცდილობს ამას ნაცბანდა – კიდევ გასაგებია, მაგრამ გაუგებარია სხვები მუდმივად რატომ აპელირებენ ამაზე! დაითვალოს, კარგად დაითვალოს სულყველამ თუ რამდენი პროცენტი სამეგრელოს ელექტორატისა მივიდა საარჩევნო ურნებთან უკანასკნელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე... სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და ქართული პოლიტიკური კლასის (ისე, მირჩევნია ვუწოდო **„პოლიტიკანური ქაქი"**) უდიდესი ნაწილი მეგრელებს არც მეტი არც ნაკლები აღიქვამენ **„საარჩევნო კენჭებად"!** დიახ, ეს არის ფაქტი! არადა, ამ ჩვენი მეგრელების უდიდესი უმრავლესობა, ცხადია, რომ საერთოდ არ უჭერს მხარს არც ერთ პოლიტიკურ ძალას! რესურსი ამ თვალსაზრისით არის მეტად შთამბეჭდავი და ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე და სწორ საგარეო სტრატეგიაზე ორიენტირებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის ფორმირების შემთხვევაში – დიდია შანსი ნაც-ქოცებიც და სხვა ბევრი მარიონეტული ელფერის მქონე ორგანიზაცია-პარტიებიც ისტორიის სანაგვეზე იქნას მოსროლილი! აი, ამ მიმართულებით უნდა იქნას საზოგადობრივად აქტიური პერსონალიების ძალისხმევა მიმართული და არა იქითკენ, რომ წამდაუწუმ მეგრელებს თითი დაგვიქნიონ! ვერა, ვერ მოვითმენ ამას ვერც არამეგრელისგან და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეგრელისაგანაც კი!!! ეს, ცალსახად!!! მეგრული ეთნოსი დღეს არის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე! მეგრულ ეთნოსს დღეს წამალივით სჭირდება გამხნევების შეძახილები! მეგრული ეთნოსი უახლოეს ათწლეულებში საერთოდ დაკარგავს თავის სახეს, თუ სახელმწიფოებრივ დონეზე დაუყონებლივ და დადებითად არ გადაწყდა მისი იდენტობის უმთავრესი გამოხატულების – მეგრული ენის დაცვა-განვითარებისათვის აუცილებელი სტრუქტურული მექანიზმების შექმნის საკითხი! აი, ამ მიმართულებით უნდა გავისარჯოთ მეც, თქვენც და სხვა დანარჩენიც!!! არავის, არავის აქვს უფლება მატრაკვეცული და კადნიერი, დიახ, კადნიერი ტონით მიმართოს სამეგრელოს და მეგრელებს! დიახ, მუდმივად აპელირება იმაზე, რომ მეგრელები მხარს უჭერენ იმ გიჟს – არის გამაღიზიანებელი! აუჩემებიათ ეს **„კორცხელის არჩევნები",** მაგრამ არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ნასაკირალშიც მოიგო იმ ე. წ. **ენმ-**ემ ის ოხერი შუალედური არჩევნები! რატომ გურულებს არ უგზავნიან მრისხანე და მენტორულ მიმართვებს (თუმცა, მე არც ეს მომეწონებოდა!) ის ტინგიცა-მატრაკვეცები?!.

თქვენ გამოთქვამთ გაკვირვებას, ქვეყანა კოლონიური რომაა და სახელისუფლებო კოალიციაც უსუსური და მარიონეტული – რა შუაშიაო... იმ შუაშია ჩემო ბატონო, რომ ზუსტად ეს აძლევს საფუძველს და ძალასაც იმ ნაცხროვას იპარპაშოს დაუსჯელად! მასობრივი საშუალებებიც დღე და ღამე ისე აშუქებენ პროცესებს, რომ თუ ასე გაგრძელდა მართლაც არ არის გამორიცხული მისი რეანიმაცია კორცხელში კი არა, დანარჩენ თუ დარჩენილ საქართველოშიც! არაა, სამწუხაროდ არაა ე. წ. **„პორტირებულებით"** გამოტენილი ე. წ. **„ქართული ოცნება",** ის ძალა, რომელსაც მხარს დაუჭერდა მრავალჭირნანახი მოსახლეობა და თუ რატომ არ არის – საკუთარ თავს დააბრალოს! თუმცა, საბოლოოდ თქვენი და ჩემი სამშობლო, რომ ზარალობს ამის გამო – ესეც ფაქტია, ბატონო ზაურ...

არ მსურს, ნამდვილად არ მსურს თქვენთან მწვავე დისკუსიაში შესვლა, ბატონო ზაურ... კი აჯობებდა თავის დროზე თქვენც თავი შეგეკავებინათ და არ გამოგექვეყნებინათ ის, არ ვიცი რა დავარქვა – თქვენი ჩემდამი პასუხი, მაგრამ იყოს, რაც არის... ახლა კი, ნამდვილად კარგი იქნება, თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ ნაცხროვისადმი ჩვენი კუთხის მოსახლეობის მასობრივად მხარდაჭერის ამბავი მეტად გაზვიადებულია... მოდით, შევთანხმდეთ იმაზეც, რომ რეგიონში უზარმაზარი რესურსი არსებობს და ინფორმაციის საკმარისი საშუალებების მოძიების პირობებში სავსებით შესაძლებელია ეს რესურსი სამეგრელოს და სრულიად საქართველოს სასიკეთოდ იქნას გამოყენებული... ხოლო, ჩვენი შურობუმუ ოდაბადეს მეგრელებისადმი კადნიერ-მენტორული ტონით მიმართვა (თუნდაც ასეთი – **„მეგრელებო, ახლა მომისმინეთ ყურადღებით!"**) ვინმეს არც ვურჩიოთ და არც წავახალისოთ... დიახ, არ წავახალისოთ ეს თუნდაც დუმილითაც კი... ასე მგონია, ამგვარად მოქცევა მეც მევალება და თქვენც გევალებათ, ბატონო ზაურ... თუმცა, თქვენი საქმისა ნამდვილად თქვენ თვითონვე იცით...

P. S. თქვენს **„გონს მოდით, მეგრელებო!"**-ზე მავანთა მიერ გაკეთებული ზოგიერთი კომენტარის კომენტირებაზე შეგნებულად და მრავალმნიშვნელოვნადაც ჯერჯერობით თავს შევიკავებ, რადგან არ ვთვლი მიზანშეწონილად გარკვეული თემების გარშემო დისკუსიის გაშლას! ტაბუ!!!

## მოკლე რეპლიკა...

ამ ბოლო დროს კვლავ გრძელდება მავანთა მხრიდან მეგრელთა დადანაშაულება მიხეილ სააკაშვილისადმი მხარდაჭერაში! სამწუხაროა, რომ ამჟამად პროკურორ-ბრალმდებლის როლში მოგვევლინა დიდებული ერისკაცის, სულკურთხეული გურამ შარაძის ასულიც, რომელმაც საკუთარ პერსონას მისცა უფლება კადნიერი ტონით მიემართა მეგრელებისადმი... ამასთან დაკავშირებით მსურს გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება და კერძოდ აი რა:

სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილი რომ შლეგი სააკაშვილის და მისი ნაცბანდის მხარდამჭერი აღმოჩნდა – ამას გარკვეული სპეციფიური საფუძველი გააჩნია! ცხადია, მე აქ ამ მოვლენის ვრცელ და სკრუპულოზურ ანალიზს არ შევუდგები, მაგრამ მოკლედ ვიტყვი, რომ ამის საფუძველიც და მიზეზიც იმ ავადსახსენებელ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალებაში უნდა ვეძიოთ! უნდა ვეძიოთ ასევე, ჩემი კუთხის ხუთგზის თუ ექვსგზის დალაშქვრა-აწიოკებაში! ვეძიოთ ასევე უნდა, მეგრელთა ერთი ნაწილის მიერ იმ **„კრიშაზე"** ამძვრალი ლობორდო-უფშვიტინეს შევარდნაძე-ურჩხულის მძლეველ მზეჭაბუკად წარმოსახვაში! უნდა ვეძიოთ ინფორმაციული თვალსაზრისით სამეგრელოს მოსახლეობის მიზანმიმართულად ვაკუუმში მოქცევაში! უნდა ვეძიოთ ე. წ. **„ქართული ოცნების"** ანუ სახელისუფლებო კოალიციის უსუსურობაში და მარიონეტულობაში! ბოლოსდაბოლოს უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ჩვენი სამშობლო არის ფაქტიური კოლონია და პოლიტიკური პროცესები, ყბადაღებული კოჰაბიტაციის ჩათვლით, აქ ვითარდება ევროატლანტიკური სტრუქტურების მესვეურთა კარნახით და ნებასურვილისამებრ!..

აი, ამის თქმა მინდოდა მოკლედ, ძალიან მოკლედ! ასე რომ, მეგრელთა მისამართით მატრაკვეცული გამოხდომებისაგან თავი შეიკავოს სულ ყველამ და თუ მაინცდამაინც ვინმეს დადანაშაულება სწადია ვინმეს – უპრიანია დამნაშავეები უწინარესად მოიძიონ იქ, სადაც ოდესღაც ერთი მეფის მიერ მანიაკალურად ნასროლი მშვილდ-ისრით გულგაპობილი ულამაზესი კოლხური ხოხობი გოგირდოვან ცხელ წყალში ჩაიფუფქა!..

**ზურაბ კვარაცხელია**

ილორი

# რა გადაგვარჩენს ქართველებს, პოლიტიკური ამბიციები, თუ ჭეშმარიტების ბოლომდე გახსნა?

ძნელია იმაზე მსჯელობა, თუ რა ეწერა ღვთის მსახურებააკრძალულ და განაწყენებულ ლეონტი მროველის, თუ მის სახელს ამოფარებული სომეხი ავტორის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“**, თუ ის, მართლაც, დაწერილია დავით აღმაშენებლის ეპოქაში, როგორც დღეისთვისაა ცნობილი, რადგან დედანში ის ქართველთაგან არავის უნახავს, არც არაფერი გვაქვს დამამტკიცებელი საბუთი, რომ ეს თხზულება დედანში ქართულ ენაზე იყო დაწერილი. დღეისათვის არსებულ 12 ნუსხიდან ყველაზე უძველესია სომხური ხელნაწერი, რომელიც დათარიღებულია 1270-1310 წლებით, ყველა დანარჩენი მე-15 საუკუნეზე ადრინდელი არაა. მე-11 საუკუნიდან დაწყებული ქართების მიგრაცია იმერეთ-გურიის ტერიტორიაზე, მდინარე რიონამდე, მე-13 საუკუნის შუა პერიოდისათვის დამთავრებული იყო, ხოლო იქ მცხოვრები მეგრული მოსახლეობა გაქართებული.

ამდენად, აღნიშნული თხზულების სომეხ ავტორს, 1270-1310 წლებისათვის, საკმაო საფუძველი ჰქონდა ფარნავაზისთვის დაებრალებინა ქუჯისთვის სამთავროდ რიონსა და ენგურს შორის ტერიტორიის განსაზღვრა.

ბატონო თამაზ, განა სარწმუნოა **„ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“** აღწერილი ცინიკური ამბავი: მუდამ ქვეშევრდომობაში მყოფი ეთნოსის წარმომადგენელმა ფარნავაზმა გამეფების შემდეგ, ეგრის-აფხაზეთის მფლობელ ქუჯის სამთავროდ რიონსა და ენგურს შორის ტერიტორია განუსაზღვრა, იმის სამაგიეროდ, რომ ეგრის-აფხაზეთის მპყრობელმა მეფემ – ქუჯიმ ადრე ქვეშევრდომად მყოფი ქართლის მამასახლისის ძმისშვილს – ფარნავაზს (ფეოდალურ ქვეყნებში მამასახლისად გლეხები, უკეთეს შემთხვევაში, აზნაურები ინიშნებოდნენ) თავისი ტახტი და მეფობა დაუთმო? თუ არა, თეოდოს II მიერ გადადგმული ნაბიჯის მცოდნეს, ფეოდალურ ეპოქაში და, მით უმეტეს, ქრისტეამდელ ხანაში, ვის შეეძლო მოეფიქრებინა მეფის მიერ თავისი სამეფო ტახტის გლეხისთვის დათმობა? ან როგორ ანდო, თქვენი დახასიათებით, ღვთაებრივი ზნეობისა და სიბრძნის ქუჯიმ, ორი საუკუნის წინათ ერთმანეთის ხორცის მჭამელი ქვეყნის წარმომადგენელს თავისი სამეფო? ძვ.წ.აღ-ით 550 წლამდე ხომ, ამ თხზულების მიხედვით, „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, ხოლო როცა შემოკრბენ ესე ურიცხვი ქართველნი ქართლსა შინა, დაუტევეს ენა სომხური და შექმნეს ქართული, რომლის შემდეგ ისე დაჭამეს ერთმანეთი ძვალრბილიანად, რომ საფლავიც არ დასჭირვებიათ“ თურმე (ინტერპრეტაცია ყველგან ჩემია, კ.ფ.).

ბატონო თამაზ, როგორ არ გრცხვენიათ ასეთ ზღაპარს ისტორიულ წყაროდ, რომ ღებულობთ და არარსებულ ქუჯის ზნეობის ეტალონად წარმოგვიდგენთ, ხოლო თქვენი წინამორბედები, მართლაც, უგონიერეს, მაგრამ უშვილო და უსინათლო თეოდოს II უმწეოდ და არარაობად წარმოგვიდგნენ. ჩვენი ისტორიის თანახმად, ეგრისის მეფის ქუჯის პროტოტიპის – თეოდოს II სიძეა ფარნავაზის პროტოტიპის – ბაგრატ III მამა, გურგენ II, ხოლო მეზღაპრე ავტორის მიხედვით ქუჯი ხდება ფარნავაზის სიძე. ყველაფერი ეს იმისთვისაა გათვლილი, რომ მკითხველი დაიბნეს და სომეხი ავტორის მიერ მოგონილი ქუჯი-ფარნავაზის ეპოპეა ჭეშმარიტებად იქნეს მიღებული.

აქ მახსენდება ერთი სასაცილო ამბავი: ჩემს შვილს **ბადრის** (3-4 წლის თუ იქნებოდა მაშინ) ისე შეუყვარდა ზღაპრები, ძილისწინ აუცილებლად უნდა მომეყოლა, თანაც, ყოველთვის ახალი. როცა ამოიწურა ჩემს მეხსიერებაში არსებული ზღაპრების სკივრი, – ვეუბნები პატარას, – ზღაპარი მეტი არ ვიცი, მაგრამ ისეთ ნამდვილ ამბავს მოგიყვები, ძალიან გაგახარებს-მეთქი. ბავშვი სმენად იქცა.

ძველად ჩვენ გვყოლია გმირი წინაპარი, – დავიწყე მე, – ბადრი ფიფია, მთელ ქვეყანაში სახელგანთქმული მონადირე და მარჯვე ვაჟკაცი, რომელიც თურმე გაქცეულ ნადირს ხელით იჭერდა; მაშინ სად იყო თოფი და კომბალი იყო მისი იარაღი; მისი სახელი იმიტომ შეგარქვი, რომ შენც მასავით ძლიერი ვაჟკაცი უნდა გამოხვიდე-მეთქი (ჩემს პატარას გაეღიმა); ერთხელ სანადიროდ წასულ ბადრის მოულოდნელად დევი შემოეყარა. – როგორ გაბედე ჩემს სამფლობელოში ფეხის შემოდგმაო, – დაიღრიალა დევმა. – აქამდე შენი იყო, მაგრამ აწი აღარ იქნებაო, – დასჭექა ბადრიმ და დაიწყო ჩხუბი. დევი ისეთი ღონიერი იყო, მუშტით ქვას ამტვრევდა, მაგრამ ბადრი ისეთი მარჯვე და სწრაფი იყო, დევის ხელი ერთი არ მოხვედრია. თვითონ კი იმდენი ურტყა კომბალი, ძლეული დევი შეეცადა გაქცევით ეშველა თავისთვის. ბადრიმაც, დევის ცემით გულნაჯერებმა, იფიქრა ერთ პანღურს მივაყოლებო (პატარა იცინის), მაგრამ მოხდა სასწაული (პატარა ბადრიმ უფრო გაამახვილა ყურადღება): ძლიერ მოქნეული ფეხი (ბოდიშს ვიხდი მკითხველთან) მაინცდამაინც დუნდულებს შუა მოხვდა და ფეხი უკანალში შერჩა-მეთქი (პატარა შეცბუნდა). მაგრამ, – ვაგრძელებ მე, – ბადრიმ დევის ზურგზე ამოყრილ გრძელ და ხშირ ჯაგარს მაგრად ჩასჭიდა მარცხენა ხელი, მარჯვენათი კი ურტყა და ურტყა კომბალი. გამწარებული დევი აღმართზე არბის, მაგრამ ვერა და ვერ იშორებს ბადრის ფეხს (პატარა სიცილით იგუდება), ბოლოს აღმართი რომ მოილია, ნაცემ-ნაგვემ და ქანცგამოლეულ დევს მარცხი მოუვიდა და ჰა, როგორც იქნა, მაშინ გამოაგდო ბადრის ფეხი. განთავისუფლებული დევი კისრისტეხვით მოშორდა იქაურობას (კმაყოფილი პატარა სახეგაბადრული ქირქილებს). აქ ცოტა პაუზა გავაკეთე, სახე დავმანჭე და ხმაშეცვლილმა ასე დავამთავრე ჩემს მიერ მოგონილი ზღაპრის თხრობა: მაგრამ ბადრის ფეხი, დევის განავალში, გულისამრევად დაესვარა. ალბათ, ბავშვმა, ოცნებაში როლში შესულმა, წამით, მართლაც, უძლეველ გმირად წარმოიდგინა თავი და ხმამაღლა თქვა: მე ის მაშინათვე დავიბანე.

სწორედ, როგორც გმირობაზე მეოცნებე ბავშვის ფსიქიკაში მოხდა, საკუთარი მოწოდებითა და ჩემი შთაგონებით, უძლეველ გმირად თავის წარმოდგენა, ისე, რომ არ უარუყვია თავისი სხეულის წაბილწვა, ასევე მოხდა ქართული სახელმწიფოს უძველესობაზე მეოცნებე მეცნიერების ფსიქიკაში სომეხი ავტორის მიერ შეთხზული ზღაპრის, ქუჯი-ფარნავაზის ეპოპეის, ჭეშმარიტებად ილუზირება, იმ განსხვავებით, რომ აღნიშნული, ბავშვის ფსიქიკაში მოხდა მოკლე დროით, ხოლო მეცნიერებში სამარადისოდ და, რადგანაც **ქართები**, იგივე, **ქარდ-ქალდები** ადამურიაფეტურ-იბერიული ფესვებიდან ამოზრილი ეთნოსია, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როგორც ღამურამ თაგვობა, ისე იუკადრისეს ლეგენდარულ იბერთა მემკვიდრეობა, უარყვეს ადამჟამიდან გადგმული ფესვები და ეს მონაჭორი გაიხადეს ქართველი ერის უმთავრეს ისტორიულ წყაროდ, ისე, რომ არ უარუყვიათ „არმენთა მემკვიდრეობა“, არც „კაციჭამიობა“ და არც „არმენთა ტერიტორიის მითვისება“.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, როგორც იტყვიან, „მადა ჭამაში მოდისო“ და ისე დათრგუნეს იბერები (ე.წ. მეგრელები), რომ სამარადისოდ დასამარებული ეგონათ და გამოაცხადეს: იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა, თორემ ეროვნულ სინამდვილეში სახელმწიფო, სახელწოდებით იბერია, არ არსებულაო, მაშინ, როდესაც **ქართისა** და **იბერის** ეტიმოლოგია დადგენილი არა აქვთ. მაგრამ უზენაესს არ უყვარს სიცრუე. მას უყვარს სიმართლე და ჰარმონიული თანაცხოვრება, და, თუ მოკლე დროში არ იქნა აღიარებული სიმართლე, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, საქართველო დაკარგავს სამეგრელოს.

ბატონო თამაზ, რამდენად ობიექტურია აღნიშნულ თხზულებიდან ისტორიულ წყაროდ მიიღო მხოლოდ ის, რაც შენთვის სასურველია, ხოლო უყურადღებოდ და უკომენტაროდ დატოვო ის, რომ თარგამოსმა თავის უფროს შვილს ჰაოსს (სომეხთა ეთნარქს), ყველაზე ჭკვიანსა და ძლიერს, მისცა კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები, მეორე ნახევარი, დამსახურებისამებრ, დანარჩენ შვიდ შვილს გაუნაწილა, ან კიდევ, ძვ.წ. აღ. 550 წლამდე ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, ხოლო როგორც უარყვეს სომხური და შექმნეს ქართული, ისე დაჭამეს ერთმანეთი ძვალრბილიანად, საფლავი არ დასჭირვებიათო. ასეთ რამეზე წაყრუება, გვარგადაკეთებული სომხის გარდა, სხვას შეუძლია?

შეუძლებელია ადამიანი უშეცდომო იყოს, მაგრამ ამდენი არაობიექტურობისა და შეუსაბამობის შემდეგ, გასაკვირია, როგორ მოვაღწიეთ დღემდე.

შეუვალია მიზეზ-შედეგობრიობის კანონი, ეგოისტურმა და არასახელმწიფოებრივმა აზროვნებამ დაგვაქცია ლეგენდარულ იბერთა მოდგმა და არა „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმნამ. არც არაფერი დაშავდება ე.წ. მეგრულ ენაზე სხვა შედევრების თარგმნით. დაშავდება ამ უნიკალური ენის იგნორირებით.

აქ მახსენდება ერთი მარტვილელი კაცი, რომელმაც ახლახან მომიყვა: გაზაფხულზე ერთ ფერდობ ადგილას, სადაც მიწა წვრილკენჭებიანი იყო, ვთოხნიდი და თოხის ყოველი დარტყმისას, გაისმოდა: ცაკ-ცაკ, ცაკ-ცაკ-ცაკ და ა.შ. ჩუმად დედაჩემი ამოსულა და მეკითხება: „მუს **მუკიცაკ2ქ** აქი“? ასე მომენტალურად გაჩნდა მანამდე არარსებული სიტყვა **„ცაკაფი“**, რაც ქართულად, პირდაპირ, ვერ ითარგმნება.

ამით იმის თქმა მინდა, რომ როგორც სამყაროა უსასრულო, ასევე უსასრულოა მეგრული ენისა და მისი ლექსიკური ფონდის ზრდა-განვითარების დიაპაზონი. ე.წ. მეგრული ენა ზუსტად გამოხატავს საგნებს და მოვლენებს, მათს სახელდებებსა და მოქმედებებს, ზუსტად ისე, როგორც ის სინამდვილეში არის. ამიტომ შეუდარებელია ე.წ. მეგრული ენის გამომსახველობითი უნარი. მაგ., ე.წ. მეგრულ **„ხე“**-ს შეესატყვისება ქართული **„ზის“**. ზმნა „ზის“ ზმნისწინებს არ ირთავს, ხოლო მეგრული „ხე“ ირთავს: კ2ნო-ხე (კუთხეში ზის), **მითო-ხე** (გამოქვაბულში ზის), **ინო-ხე** (ჭაში, სიღრმეში ზის), **გიმა-ხე** (ხის ტოტზე ზის) და ა.შ., ვიდრე 92 ზმნისწინის დართვამდე. ახლა სუფიქსებს არ იტყვი. ქართულ და სხვა ენებში სუფიქსები თითზე ჩამოსათვლელია, ხოლო ე.წ. მეგრულში ის 300 ერთეულს აღემატება. ამიტომაა მეგრული ენა წარმოუდგენელი სიმდიდრის, და შეუდარებელი, ბუნების ძალებისა და თვით ბუნების შესაცნობად.

ბატონო თამაზ, მგონი თქვენ ერთ დროს პრეზიდენტობას აპირებდით. არც დღეს გვყავს ვარგისი პრეზიდენტი, მაგრამ თქვენ რომ პრეზიდენტი გამხდარიყავით, მოვაღწევდით კი დღემდე?

თქვენ რომ ობიექტური იყოთ და არა მედროვე, აუცილებლად დაინტერესდებოდით, რატომ წერს უგანათლებულესი **იოანე პეტრიწი:** მომრავლდნენ უმეცარი მთარგმნელები, რომელთა თარგმანებს შორის, **„შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი“** იყოო? თუ თქვენ ვერ აცნობიერებთ რატომ, მე გეტყვით: იმიტომ, რომ 1008 წელს გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო ენა ქართული ენა გახდა. იმ ხანად მდაბიო ქართულ ენაზე არავითარი ლიტერატურა არ არსებობდა და, ბუნებრივია, ვისაც გული ერჩოდა, პირველ რიგში შეეცდებოდა უცხოური ლიტერატურის შედევრების თარგმნას, მაგრამ ჯერ კიდევ გრამატიკულად გაუმართავ ქართულ ენაზე სხვადასხვა მთარგმნელთა თარგმანები თანხვედრილი და უნაკლო ვერ იქნებოდა. სწორედ, როგორც თვითონ წერს, ამიტომ აღიჭურვა ბრძენი პეტრიწი თავისი გვარ-ტომისათვის შეექმნა ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბიოთაგან (**„... მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან“**). მაგრამ პეტრიწის მიერ რეფორმის გატარების შემდეგაც ქართული ენით დაწერილი ნაშრომი **განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“** იმდენად გაუგებარია, რომ თარგმნა დასჭირდა ძველი ქართული ენის სპეციალისტის მიერ და ადვილი წარმოსადგენია, რა დონის იქნებოდა ქართული ენა პეტრიწამდე.

ბატონო თამაზ, თქვენ რომ ობიექტური იყოთ და არა მედროვე, ტვინზომბირებული მღვდლების გამონათქვამებს კი არ დაეყრდნობოდით, არამედ გაითვალისწინებდით იოანე პეტრიწის, ივანე ჯავახიშვილის და წმ. ექვ. თაყაიშვილის შრომებს, რომელთათვის ჭეშმარიტება ბევრად ღირებული იყო პირად ამბიციებზე, ან მტკიცებულებების გარეშე მაინც გვერდით ვერ აუვლიდით მათ აზრს. მაგრამ არ ვიცი ამდენი მოგეთხოვებათ თუ არა.

ბატონო თამაზ, თუ თქვენ გვარგადაკეთებული სომეხი არ ბრძანდებით და ე.წ. ქართველი ერის (სომხები **ვრაცებს** გვეძახიან, რაც მიღებულია შემდეგნაირად: იბერაც (იბერიელი) → ივერაც → ივრაც → ვრაც) გადაშენებაზე არ ოცნებობთ, რატომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი არაობიექტურობით მეგრელებს აიძულებთ გადადგან, მართლაც, სეპარატისტული ნაბიჯი და დანარჩენ საქართველოს გამოეყონ, რომლის შემდეგ ვერ იარსებებს საქართველო?

ზოგი საეჭვო პიროვნება, მაგ., ენათმეცნიერი ტ. ფუტკარაძე სეპარატიზმის საფრთხეს სხვანაირად ხედავს და თავის ინკოგნიტო მეგობარს მიმართავს:

„...სვანური არ არის საშიში, საშიშია მეგრული და, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამ ენის დიალექტად მსოფლიო აღიარებას უნდა მივაღწიოთო“.

რას ნიშნავს საშიშია? არცერთი ენისთვის დედამიწაზე სხვა ენა საშიში არ არის. რატომ არის ე.წ. მეგრული ენა ქართულისათვის საშიში, მით უმეტეს, მაშინ, როცა ის არის განმსაზღვრელი ე.წ. ქართული ენისა და ქართველი ერის ეროვნულობისა?

ჩვენ, პირიქით, საშიშად მიგვაჩნია ე.წ. მეგრული ენის დიალექტად აღიარება, რადგან, ამ შემთხვევაში, ქართული ენა გამოდის უცხო ენათა 100%-იანი კონგლომერატი და ფრთა ესხმება ავადსახსენებელი მიხაილ სუსლოვის ვერაგულ გეგმას: **„...ქართველებს მეცნიერულად უნდა დავუმტკიცოთ, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს ტერიტორიიდან საბოლოო გაძევების საშუალებას მოგვცემს“** (იხ. პარიზის ეროვნული საბჭოს ჟ-ლი „მებრძოლი საქართველო“, 2003 წლის 26 მაისი). თუ ჭეშმარიტ ისტორიას ნაცარს შევაყრით და ე.წ. მეგრულს დიალექტად ვაღიარებინებთ მსოფლიოს, ქართული ენისა და ქართველი ერის 100%-იან კონგლომერატად და ეროვნების არმქონედ გამოცხადებას, წინ ვერაფერი დაუდგება.

ბატონო თამაზ, თუ თქვენ გვარგადაკეთებული სომეხი და დაშნაკთა მიმდევარი არა ხართ, ჩემი ერის დაშლა-გადაშენებაზე და ჩემი ქვეყნის ტერიტორიების დაუფლებაზე არ ოცნებობთ, რა უფლებით მიკნინებთ ჩემს უნივერსალურ, ყველა ენათა დედას, როცა სხვა მედროვეთა გამონათქვამებს ეყრდნობით, თორემ თქვენ თვითონ ამ ენის არსზე და შესაძლებლობებზე აბსოლუტურად არა გაქვთ წარმოდგენა?

ბატონო თამაზ, "ღვთის კაცთან", პატრიარქთან გქონიათ ურთიერთობა, მაგრამ უზენაეს შემოქმედთან მწყრალად თუ არა ხართ, ნუთუ ვერ აცნობიერებთ, რამდენად დიდი ცოდვაა იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის შესაძლებლობების შეზღუდვა არამარტო ე.წ. მეგრელებისა და, საერთოდ, ე.წ. ქართველი ერის, არამედ მთელი კაცობრიობის და თვით უზენაესის წინაშე?

ჩვენ არ ვესწრაფვით საერთო სალიტერატურო ენად არსებული კლასიკური ენის ისევ იბერიულით შეცვლისკენ, რადგან ყველაფერი ეს ღვთის ნება იყო ჩვენი ჭკუის სასწავლებლად, მაგრამ ვინც ვაცნობიერებთ იბერთა მოდგმის გადარჩენისათვის მეგრელ-ქართლელ-სვანლაზთა გულწრფელი, გონივრული და სულიერი კონსოლიდაციის აუცილებლობას, დიდი სურვილი გვაქვს დანარჩენმა ქართველებმაც გაითავისონ ის უნიკალური მონაცემები, რომელიც იბერიულმა ენამ შემოინახა და შესაძლებლობას იძლევა არამარტო ეროვნული წარმოშობის ძირისეული ფორმების, არამედ სხვა უძველეს უცხო ენათა მიერ ერთიანი ბუნების ენიდან შემონახული სიტყვების ეტიმოლოგიის დადგენისა. ეს მოგვცემს ძლიერ იმპულსს ეროვნული ენერგიის აღსადგენად. როდესაც ამას მოახერხებს ე.წ. ქართველი ერი, ისინი (ქართებად, მეგრელებად, სვანებად და ლაზებად წოდებული იბერთა მოდგმა), უეჭველად, შეიყვარებს ერთმანეთს. სიყვარული კი ისევ დაგვაკავშირებს უზენაესთან და **გაბრწყინდება იბერია.**

გეთანხმებით ბატონო თამაზ, "სვანურისა და მეგრულის ელემენტების სწავლება სხვაა და სვანურად და მეგრულად სწავლება სკოლაში – სულ სხვა". ალბათ, ამიტომ ამბობდა აკად. აკაკი შანიძე: **სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართელებმა არ ვიცით მეგრული ენა.** რაკი ასეა, იმის ზღვარდადება, რა უნდა ითარგმნოს მეგრულად და რა არა, გამაღიზიანებელია და არასწორი, რადგან იბერიული ენისთვის ფართო ასპარეზის მიცემა გამოავლენს სრულად ამ ენის შესაძლებლობას და ეს ე.წ. ქართული ენის ზრდა-განვითარებისთვისაც აუცილებელია.

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქართული ენა კლასიკური ენაა და მისი განვითარება დასრულებულია, დიდად ცდება. **თვითკმაყოფილება მუცელღმერთობის თაყვანისმცემელთა და ზარმაცთა თვისებაა, უცხოური ლექსიკის უკონტროლო დანერგვით საკუთარის გაძევება კი – უდარდელობა და გონებრივი სიბრმავე, ხოლო საკუთარი ღვთიური ფესვების უარყოფა და ამოძირკვა – თვითმკვლელობა.**

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი**

# ერთხელ ოდესაში, ანუ "ლიკვიდაცია 2"

მიხეილ სააკაშვილის ხელში ოდესა კრიმინალურ ჯოჯოხეთად გადაიქცა. უკრაინის გენერალური პროკურორის – იური ლუცენკოს თქმით, დანაშაულის რაოდენობის ასეთი მატება უკრაინის არცერთ ოლქში არ აღინიშნება. საინტერესოა, რას უკავშირდება კრიმინალის ეს ამოფრქვევა, რომელმაც შეიძლება პოპულარული ტელესერიალი **"ლიკვიდაცია"** გაგვახსენოს და რას გეგმავს ქართველი სამართალდამცავების მიერ ძებნილად გამოცხადებული სააკაშვილი.

ოდესის ოლქის პროკურატურის მონაცემებით, 2016 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში რეგისტრირებულია 16.603 დანაშაული (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში – 11.303). განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევები 353-დან 717-მდე გაიზარდა, მძიმე დანაშაულის კი – 4379-დან 6295-მდე. ამ პერიოდში ოდესის ოლქში მოხდა 254 განზრახ მკვლელობა, მაშინ, როდესაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში – მხოლოდ 144. აღირიცხა 262 ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვის – 1171 და ქურდობის – 8082 ფაქტი (წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებია 85, 596 და 5385 შესაბამისად). პარალელურად შემცირდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი – 3314-დან 1535-მდე.

სააკაშვილის გარემოცვის წარმომადგენლები უკრაინაში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ პროკურატურის ხელმძღვანელობა მათ მიზანმიმართულად ებრძვის, მაგრამ ამ შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემების უარყოფა ვერ გაბედეს. უკრაინის ეროვნული პოლიციის შეფი ხატია დეკანოიძე იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ პროკურატურის ინფორმაცია რეალობას შეესაბამება. მან უკრაინულ **"მეხუთე არხთან"** ინტერვიუში განაცხადა, რომ დანაშაულის ზრდას სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს, ესენია: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; იარაღის უკანონო ბრუნვა (ომიდან გამომდინარე) და ის, რომ მოქალაქეები უფრო ხშირად მიმართავენ პოლიციას და ამის გამო რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა იზრდება. ამ არგუმენტს ადრე საქართველოშიც იყენებდენ, მაგრამ იმედია, დეკანოიძე იმის მტკიცებას არ დაიწყებს, რომ ოდესის ოლქში მკვლელობების მატება 144-დან 254-მდე განპირობებულია იმით, რომ ადრე მკვლელობის ათეულობით ფაქტი არ რეგისტრირდებოდა; ეს ფრიად აბსურდული იქნება.

როდესაც დეკანოიძეს ჰკითხეს, როგორ შეაფასებს ის გიორგი ლორთქიფანიძის მუშაობას (ოდესის ოლქის პოლიციის უფროსი, საქართველოს შს მინისტრის ყოფილი მოადგილე), მან უპასუხა: **"მთავარია, რომ ლორთქიფანიძე პატიოსანი ადამიანია".** ალბათ, იგულისხმებოდა, რომ ტელემაყურებელი ხატია დეკანოიძეს სიტყვაზე უნდა ენდოს, მაგრამ რიგით ოდესელებს, სავარაუდოდ, ის კი არ აინტერესებს, როგორი ადამიანია პოლიციის უფროსი ან გუბერნატორი, არამედ ის, რატომ არის მათ ქალაქში უმძიმესი კრიმინალური მდგომარეობა, რომელიც იქ უფრო სწრაფად უარესდება, ვიდრე სხვაგან. ისე, საინტერესო კია, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს პატიოსან ადამიანად ის, ვინც დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ ვერ ასრულებს, მაგრამ თანამდებობას მაინც არ ტოვებს.

ეს შესავალი, ალბათ, აუცილებელი იყო იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, რა მოხდა უკრაინიდან დავით გერლიანის ე.წ. დეპორტაციის გამო და რატომ მოუწია შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს ამ თემაზე ბრიფინგის გამართვა. სააკაშვილი და ლორთქიფანიძე, სავარაუდოდ, ეძებდნენ გამოსავალს და ცდილობდნენ, როგორმე სხვა რამეზე გადაეტანათ უკრაინელი საზოგადოების ყურადღება იმ კოშმარული სტატისტიკისგან, რომელიც პროკურატურამ გამოაქვეყნა. პარალელურად, როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, ისინი შეეცადნენ, ივანიშვილის ხელისუფლებისთვის დაერტყათ.

როგორც "ინტერპრესნიუსს" დავით გერლიანის ადვოკატმა თამარ აბესაძემ განუცხადა, "დავით გერლიანი 2006 წელს "ქურდული სამყაროს" წევრობის ბრალდებით დააკავეს, 2013 წელს გათავისუფლდა პატიმრობიდან, რის შემდეგაც საქართველო დატოვა და საცხოვრებლად უკრაინაში გაემგზავრა. მას აქვს უკრაინის მოქალაქეობა. როგორც გერლიანი აცხადებს, უკრაინაში ერთ-ერთ რესტორანში მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც პოლიცია შევარდა და ყველა დააკავა. ამ დაკავების ოპერაციას ქართველი მაღალჩინოსანი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, გერლიანის გარდა, ყველანი გაათავისუფლეს, ის დააკავეს და უთხრეს, რომ ყალბი პასპორტი ჰქონდა. ჩასვეს თვითმფრინავში და გამოუშვეს საქართველოში. როდესაც თბილისის აეროპორტში ჩამოვიდა, იქ "რუსთავი 2"- ის გადამღები ჯგუფი დახვდა".

ადვოკატის განმარტებით, მისი დასაცავი დეპორტირებულიც არ არის, რადგან დეპორტაციისთვის საჭირო პროცედურები არ ჩატარებულა. ადვოკატის თქმით, გერლიანი აცხადებს, რომ სცენარი დადგა მიხეილ სააკაშვილმა და "ნაციონალურმა მოძრაობამ" "რუსთავი 2"-ის დახმარებით, თითქოს საქართველოში კანონიერი ქურდები ბრუნდებიან ("ინტერპრესნიუსი").

უკრაინის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დეპორტაციას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. მას შემდეგ, რაც ლორთქიფანიძემ "ფეისბუქში" გერლიანის "დეპორტაცია" ახსენა, უკრაინულმა მედიამ მას კანონმდებლობის უცოდინარობის გამო დასცინა. "ეტყობა პირადი სისხლის სამართლის კოდექსი აჩუქეს", – წერდა ინტერნეტგამოცემა "ხრაბრო". ციტატა "ხრაბროს" სხვა პუბლიკაციიდან იმაზე, თუ რა მოხდა მას შემდეგ, რაც ცხადი შეიქნა, რომ ტერმინი "დეპორტაცია" უადგილოა, "ლორთქიფანიძის "პიარშიკებმა" მყისვე შეცვალეს პოზიცია და იმის მტკიცება დაიწყეს, რომ კანონიერი ქურდი უკრაინიდან "გააძევეს" ან ქცევის წესების, ან ქვეყანაში შესვლის წესების დარღვევის გამო. ესეც სიცრუეა. გაძევება მხოლოდ უკრაინის უშიშროების სამსახურს შეუძლია და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. მაშინ მათ თქვეს, რომ პოლიციამ ქურდი სასაზღვრო ზონაში მიიყვანა, საიდანაც ის კანონიერად გააძევეს მესაზღვრეებმა, მაგრამ პოლიცია არ შეიძლება იმყოფებოდეს სასაზღვრო კონტროლის ზონაში, ხოლო გაძევების პროცედურა მხოლოდ უკრაინაში შემოსვლის ეტაპზე გამოიყენება" და ა.შ.

შემდეგ იყო შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის კომენტარი: "გაჩნდა კითხვა: რატომ ვერ მოხერხდა "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობა – შეთანხმების საფუძველზე, ქართული მხარისთვის წინასწარ ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული პიროვნებისა და მისი უკრაინიდან, კერძოდ, ქალაქ ოდესიდან შესაძლო დეპორტაციის შესახებ; მით უფრო, თუკი უკრაინულ მხარეს ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პირი, შესაძლოა, ყოფილიყო დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი, ე.წ. კანონიერი ქურდი, რომლისგანაც მოსალოდნელი იყო საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა? გამოძიების ფარგლებში, ჩვენ უკვე ოფიციალური წერილით მივმართეთ უკრაინელ კოლეგებს და ვთხოვეთ განმარტება. კერძოდ, იყო თუ არა აღნიშნული პირის უკრაინული პასპორტი ავთენტური და, თუ არა, რატომ არ მოხდა მისთვის აღნიშნული პასპორტის ჩამორთმევა?"

ძნელი სათქმელია, რა შეფასება უნდა მიეცეს მომხდარს, გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა და ლორთქიფანიძემ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაძვრენის მიზნით (სავარაუდოდ, უკრაინული კანონების დარღვევით) დაგეგმეს და განახორციელეს სახელმწიფოთაშორისი მასშტაბის დივერსია. ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში ამისთვის, დიდი ალბათობით, არა მხოლოდ თანამდებობას დაატოვებინებდნენ, არამედ ციხესაც ახეხინებდნენ, თუმცა თანამედროვე უკრაინას ამმხრივ, სავარაუდოდ, სერიოზული პრობლემები აქვს.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს ადამიანები ყველაფერზე არიან წამსვლელები, გვაქვს კი იმის გარანტია, რომ მალე ოდესიდან საქართველოში "ბოევიკების" გადმოსროლა არ დაიწყება? 29 ივნისიდან ოდესიდან ბათუმში დამატებითი რეისი იფრენს. რაც უფრო ბევრია მგზავრი, მით მეტია შანსი, რომ ბოევიკები უპრობლემოდ შეაღწევენ ქალაქში, რომელიც, ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს იმ დასახლებული პუნქტების სიაში, რომლებშიც სააკაშვილი არეულობის მოწყობას შეეცდება. ვინ შეიძლება იყვნენ ეს "ბოევიკები", სააკაშვილის ახლოს მყოფი დაბალი რანგის ქართველი ძალოვანების გარდა?

ყურადღება, უპირველესად, ალბათ, ე.წ. მოხალისეთა ბატალიონების წევრებს უნდა მივაქციოთ, რომლებიც 17 ივნისს კიდევ ერთ ხმაურიან პროვოკაციაში, სავარაუდოდ, სწორედ სააკაშვილმა გამოიყენა. იმ დღეს ოდესის საოლქო საბჭოს უნდა მოესმინა გუბერნატორის ანგარიში ოლქის განვითარების პროგრამის შესრულების თაობაზე და სამომავლო ღონისძიებების გეგმა დაემტკიცებინა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ დეპუტატები სააკაშვილის ანგარიშს არ დაამტკიცებდნენ, რადგან მათი დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ გუბერნატორს, პიარის გარდა, არაფერი აინტერესებს და მისი მმართველობის პერიოდში სიტუაცია გაუარესდა. ამის შემდეგ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, დეპუტატების დაშინება გადაწყვიტა. სხდომათა დარბაზში შეიჭრნენ ადამიანები, რომლებიც თავს მოხალისეთა ბატალიონების წარმომადგენლებს უწოდებდნენ და მოითხოვდნენ, მათთვის ომის ვეტერანების სტატუსი მიენიჭებინათ. სამართალდამცავებმა მათ ხელი ვერ (ან არ) შეუშალეს. სააკაშვილმა კი ტრიბუნიდან მათ მოთხოვნებს მხარი დაუჭირა. აგრესიული ფორმიანებით გარშემორტყმული დეპუტატები იძულებულნი შეიქნენ, მათთვის სასურველი გადაწყვეტილება მიეღოთ. უკრაინელი კომენტატორების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პროვოკაცია სააკაშვილმა დაგეგმა და, ალბათ, ამის გამო მოგვიანებით მანვე გადაწყვიტა, საჯაროდ მოეწოდებინა ლორთქიფანიძისთვის, მომხდარი გამოეძიებინა. რაც მთავარია, მას შემდეგ, რაც დეპუტატები გონს მოეგნენ, მათ სააკაშვილის ანგარიში (და არც გეგმა) მაინც არ დაამტკიცეს.

დღეს უკრაინა, მათ შორის ოდესა, სავსეა დეკლასირებული ელემენტებით, რომლებმაც, სროლისა და არეულობის მოწყობის გარდა, არაფერი იციან და "ერთი მუჭა დოლარებისთვის", ალბათ, მზად იქნებიან, არათუ საქართველოში, არამედ სომალიშიც გაემგზავრონ. რა მორალური ბარიერი შეუშლის ხელს სააკაშვილსა და მის ჯგუფს, ეს რესურსი არ გამოიყენოს? ან კიდევ გამოიყვანონ მომხრეები რუსთაველზე, შემდეგ კი (ძველი ტექნოლოგიაა) ე.წ. "უცნობ სნაიპერებს" დაახვრეტინონ ან სხვა დანაშაულებრივ ხერხს მიმართონ.

ბოლო პერიოდში გაჩნდა იმის ნიშნები, რომ ფონდი "ოდესის საკეთილდღეოდ" საქმიანობის გამოძიება შეიძლება სააკაშვილისთვის ფრიად არასასურველი შედეგით დასრულდეს და ის კორუფციაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და "ატკატების" სისტემის დანერგვაში დაადანაშაულონ. არც ის არის გამორიცხული, რომ ამის გამო უკრაინიდან გაქცევა ისეთივე სისწრაფით მოუხდეს, როგორც 2013-ში – საქართველოდან. შესაძლოა, მძიმე ეჭვებიდან და მოლოდინებიდან გამომდინარე, მის წარმოსახვაში გაჩნდა საქართველოში გადატრიალების მოწყობისა და თბილისში დაბრუნების გეგმა. მართალია, რეალობასთან ამ გეგმას, სავარაუდოდ, ისეთივე კავშირი აქვს, როგორ ადოლფ ჰიტლერის 1945 წლის ილუზიებს, მაგრამ ყველაზე მანიაკალურმა იდეამაც კი შეიძლება ბევრი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. აქედან გამომდინარე, თითოეულ ჩვენგანს ახლო მომავალში, ალბათ, მაქსიმალური სიფხიზლის გამოვლენა დასჭირდება, სანამ ხსენებული საფრთხე ლიკვიდირებული არ იქნება.

**დიმიტრი მონიავა**

## პოეზიის კუთხე

### ჩქიმი ჯიმა-კოც – ორდე წულაიას

ბჟას ველართ, უკმელარე
ჩხურ მაფ ენოჭკირილე,
წკურუმიას ვორექ ენოკირილი,
ოკაკლეს ნეძიშორო ბკაკუნა
მარცხებელი ჩქმითინი ვაპუნა.
მუჭო მერჩა ნგეში,
მენდი ვაიმღუ ჭუმეში,
თოლცთ ჯგირო ვავორწყექ,
შიში მიღუ რუმეში.
ჩქიმი უდე ფარფალერი,
სქანი ქიგედგუ დიო,
ვორექ თხირი კაჭალერი,
მა სი მუთუნი რთხიო?
სქანი უდეს აფხაზა რე,
ჩქიმც ოხორანს ტურა,
რინა მუში მამარდარე,
მითინც ვახუჯ ღურა
ორდე წყნეთის მიკისოფუნ,
ჩქ თაქ ქართლის ბლურა,
ირფელი მიჩქ, მი მუს ორთუნ,
თოლეფი ვეგემწკურა.

### აფხაზეთი მიქ გეგოდუ

აფხაზეთი მიქ გეოდუ
სამარგალო ორდი ირო
სომხანი რე მიხვიცუა
ვაჯემც მუკმციკუქ წკირო,
სი აფხაზა ჯაშ-დუდამი
ერჩქინექო ჩქიმი ჭირო,
მა სი მუჭო გემორჯილნი
თენა მოსკიდ-გასაკვირო.
სქანდო ჩქიმი მოჯგირალა
ოში წანეფით იკოროცხუ.
შხეფი ქოგოგორანდუ და
მარგალ კოჩქ ირო გოცქუ,
ტვინი მუქრე აკოილანდღუ
ქოგმაშინე, გური მიხორცქუ.
სომეხიქ ბრელხანი რენო,
მოჯგირეთ გინიგართუ!
მრაგალეფიში ოსირალო
ჩეჩენქ კლე ქეკნიკართუ.
რუსეფიში ხენწყუალათ
მარგალემქ გეგნიფართხუ.
მარა, თენა ვეგგოსკიდ
უკახლე სი დუგართუ.
თასო ართი ვეგესკიდუ
აფხაზაში ნობუძუღუ.
შხვაში უდეს მილარექ
ნამოსიქ ვეშგაწუხუ,
სქანი ხეთ დუდი მიდინე
კსერც გერძ რუსიშ უღუ,
მარგალეფიში წყინებას
ჯგირო გიჩქ მუ მოუღუ.

### რაში

რაში დხას ტორით წყუნს
ლაგამს ქნს კიბირთ
ცირეფი ჩონგური გამკიღით,
ართშა ხოლო ქომბირით,
ჩილამურეფი ვამოძირათ,
შური ვიშო მიხირით.
ლაგვანც დუდი მანჭყით დო
ღვინი ქოფჩით ტეიბირით.
შორი შარაშა ოლი მაფუ.
საშველ-ვამოღ კვარზალია.
სერით სინთეს ქომოძირანც,
გოფშა თუთა-კვარკვალია,
ოჭუმარეს ქომიბირს,
ჭიჭე ჩიტი მაფშალია
მინდორემც გეგმაზარენც
ქექე-ქექეთ ფარფალია.

### მოთალემც

ქორშუდა ბაბუ, ქორშუდა,
ქოდვანთხე დო ვიშო დობღურდა.
ჩქიმი საფლეში ეკუ-ლათ ვაშურდა
ჩქიმი სახელი ქოშინე გოქურდა.
ორკოლით ღვინი გეკიღო, მოჩხონე
ღვინი მისხუნ ორქოშა, მომჯღონე.
სქანი ხანდა მონკარე ვეწონე
თეიშა რდა სონდარო ვარბონე.
ჩქიმ უკული სი ოკო ხონე,
ტყარ უშქურ სი ოკო ონე
სქვამ ცირა ოკო მიონე
ოჯახის ორანი გიცონე.
დიკე ზღვა, ეკირე შონე
ჯგირ დო ფური სი ოკო წონე
სქან ხეს-რე ფურნე დო თონე
თეშ იბირი მაქეგუბგონე.
მოჩხუნე ბაბუ, მოჩხუნე.

**ჯემალ პერტაია (ტომბა)**

# ქოხი 2 მილიონად – ახალციხის მოსამართლის გადაწყვეტილება



2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, ახალციხის მოსამართლე მარიკა ჩიტაშვილმა მიიჩნია, რომ ქოხში, რომელსაც ამ ფოტოზე ხედავთ, 2012 წელს ორმა ბიზნესმენმა საკუთარი ნებით გადაიხადა 1 900 000 (ერთი მილიონ ცხრასი ათასი ლარი).

საეჭვო იმ **„იძულებით გარიგებაში”**, რომელზეც მოსარჩელე მხარე საუბრობდა, მოსამართლე მარიკა ჩიტაშვილმა ვერაფერი დაინახა.

ამას წინათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ძალიან საინტერესო საქმე უნდა განეხილა – ღირდა თუ არა ახალციხის რაიონის სოფელ ჭვინთაში 120 კვადრატულზე დადგმული ქოხი 1 900 000 (ერთი მილიონ ცხრასი ათასი ლარი) და რამდენად კანონიერად გამოიტანა ახალციხის მოსამართლემ გადაწყვეტილება ყველაზე **„ძვირადღირებულ ქოხზე”**, ჭვინთის ისტორიაში. თუმცა, პროცესი ნოემბრისთვის გადაიდო.

სანამ სახელისუფლებო უმრავლესობა და თავად ხელისუფლება თავიანთ შეუსრულებელ დანაპირებს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ ფაქტების და მტკიცებულებების სიმცირესა და უქონლობას აბრალებს, ქოხი ჭვინთაში ახალ მყიდველს ელოდება. მეპატრონეები **„აიპრესთან”** საუბრისას ამბობებ, რომ მზად არიან, ქოხი მეოთხედ ფასადაც გაყიდონ... ამას ხუმრობით ამბობენ.

სერიოზულად კი „სენტა ჯგუფის” ერთ-ერთი დამფუძნებელი, ბიზნესმენი ზაალ იაკობიძე „აიპრესთან” ჰყვება, რომ ქოხს მართლაც გამოუჩნდა მყიდველი ამ რამდენიმე ხნის წინ და მაქსიმალური თანხა, 500 ლარი შესთავაზა... როცა გაიგო, რომ ამ ქოხში 2 მილიონი იყო გადახდილი, მეპატრონეებს **„უკბილო ხუმრობად”** ჩაუთვალა და მოლაპარაკებები შეწყვიტა...

სანამ საქმის დეტალებს და 2-მილიონიანი ქოხის ისტორიას გავაცნობთ მკითხველს, ორიოდე სიტყვით მოსამართლის ბიოგრაფიას გადავხედოთ:

**ახალციხის მოსამართლე მარიკა ჩიტაშვილის შრომითი ბიოგრაფია:**

***2003-2004 წლებში მუშაობდა ახალციხის რაიონული პროკურატურის სტაჟიორგამომძიებლად;***

***შემდეგ ამავე პროკურატურის პროკურორის თანაშემწედ;***

***2004-2010 წლებში მუშაობდა ახალციხის რაიონულ პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე;***

***2012 წლის იანვრიდან იყო ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;***

***2013 წლის (თებერვლიდან ივნისამდე) მივლინებული იყო ახალციხის რაიონულ სასამართლოში;***

***2013 წლის ივნისიდან არის ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.***

**2-მილიონიანი ქოხის პრეისტორია...**

ქოხი 2 მილიონად (თითქმის 2 მილიონად. ავტ) **„სენტა ჯგუფისთვის”** უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საქმიდან ერთი **„პატარა”** დეტალია.

**ზაალ იაკობიძე, „სენტა ჯგუფის” დამფუძნებელი:** 2010 წლის ნოემბრის ბოლოს, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ამჟამად ბრალდებულმა დავით კეზერაშვილმა დაგვიბარა ე.წ. „პიქსელის” შენობაში და 60 000 000 დოლარად შეფასებული შპს „სენტა პეტროლიუმის” და შპს „ბემონის” აქტივების მის მიერ დასახელებულ კომპანიებზე, შეუსაბამოდ დაბალ ფასად, მიყიდვა მოგვთხოვა. შეხვედრისას განგვიმარტა, რომ მის მიერ შემოთავაზებული ფასი განხილვას არ ექვემდებარებოდა და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა მიგვეღო.

უარის შემთხვევაში, როგორც მან გვითხრა, მოხდებოდა ჩვენი დაპატიმრება და ბიზნესის წართმევა. ოჯახის წევრების გაუბედურებითა და სიცოცხლის ხელყოფით გვემუქრებოდა.

ყოველი მომდევნო შეხვედრისას, თავდაპირველად დასახელებულ თანხას კეზერაშვილი ამცირებდა, რაც საბოლოოდ 22 200 000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

იძულებულნი გავხდით, დაგვეთმო ბიზნესაქტივები, რეალურ საბაზრო ფასთან შედარებით, 3-ჯერ უფრო დაბალ ფასად კეზერაშვილის მიერ მითითებულ კომპანიებისთვის – შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა” და შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითიზი”-სთვის. საფუძველზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიზნესმენებს 22 200 000 დოლარიდან 16 000 000 დოლარი, არსებული საბანკო კრედიტის მომსახურებისა და ბიუჯეტის წინაშე, აღნიშნული ნასყიდობის გაფორმების შედეგად გამოწვეული გადასახადების დასაფარად გადაახდევინეს

**დავით მიმინოშვილი:** ჩვენი უბედურება ამით არ დამთავრებულა. 2012 წლის მაისში პროკურატურამ ორივე დამფუძნებელს, ზაალ იაკობიძესა და დავით მიმინოშვილს წაგვიყენა აბსურდული ბრალი და სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეგვიფარდა. გლდანის ციხეში, ისევ არნახული ზეწოლის შედეგად, იძულებულნი გავხდით, აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ 4 000 000 ლარი გადაგვეხადა.

2012 წლის 12 ივლისს, კვლავ ზეწოლისა და პროკურატურის მითითებით, ჩვენმა კომპანიამ იძულებითი მონაწილეობა მიიღო საჯარო აუქციონში, სადაც ახალციხის რაიონის სოფელ ჭვინთაში მდებარე 121 კვ.მ მიწის ფართობზე მდებარე ბიბლიოთეკის შენობა 1 900 000 (!) ლარად შეგვაძენინეს, მაშინ როდესაც შენობის საწყისი ფასი აუქციონზე 8 000 ლარი გახლდათ.”

**აუქციონი ქართულად – ყველაზე ძვირადღირებული ქოხი საქართველოში...**

აუქციონი გაიმართა 2012 წლის 12 ივლისს. აუქციონში მონაწილეობდა მხოლოდ შპს „ბემონი”, რომელიც წარმოდგენილი იყო მისი იურისტის მამუკა ფირანიშვილის სახით. ცხადია, როგორც საქმის ადვოკატი აცხადებს, აუქციონის მომწყობი და ჩამტარებელი ჩინოვნიკები ინფორმირებული იყვნენ, თუ რეალურად რა ხდებოდა, აუქციონშიც, ცხადია, სხვა მონაწილე არ ყოფილა.

ქონების საწყისი ფასი 8000 ლარი გახლდათ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის სააუქციონო კომისიის მიერ 2012 წლის 12 ივლისს მოწყობილ აუქციონზე შემოთავაზებული საფასურის 1 900 000 (ერთი მილიონ ცხრაასი ათასი) ლარის საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ბემონი”, რომელსაც საკუთრებაში გადაეცა აღნიშნული ქონება

თუმცა, ამ აუქციონის თავისებურება მხოლოდ ფასი არ გახლდათ. ჯერ გადახდილ იქნა 1 900 000 ლარი სამ ეტაპად, ხოლო აუქციონი შემდეგ გამოცხადდა.

ამ დროს დავით მიმინოშვილის პარტნიორი ზაალ იაკობიძე ციხეში იჯდა. დავით მიმინოშვილი კი აუქციონის საკითხის მოსაგვარებლად გამოუშვეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, დავით მიმინოშვილის აღმკვეთი ღონისძიებიდან გათავისუფლებიდან მეორე დღეს, 2012 წლის 29 ივნისს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის სტაჟიორის მიხეილ ჯინჯოლიას 2012 წლის 29 ივნისის №13/27582 წერილის საფუძველზე, თბილისის სააღსრულებო ბიუროს უზრუნველყოფის ანგარიშზე, დავით მიმინოშვილის სახელზე შეტანილი 990 000 ლარიდან 900 000 ლარი ბეს სახით, თანხის დანიშნულება: „აუქციონის წესით გასაყიდი ქონება” გადაირიცხა ახალციხის ადგილობრივ ბიუჯეტში.

2012 წლის 4 ივლისის საგადასახადო დავალებით დავით მინინოშვილმა ახალციხის მუნიციპალიტეტს გადაურიცხა 720 000 ლარი, დანიშნულებით: აუქციონის წესით გასაყიდი ქონების ღირებულება.

2012 წლის 5 ივლისის საგადასახადო დავალებით დავით მინინოშვილმა ახალციხის მუნიციპალიტეტს გადაურიცხა 280 000 ლარი, დანიშნულებით: აუქციონის წესით გასაყიდი ქონების ღირებულება.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ამის შემდეგ გამოცხადდა აუქციონი რომელიც ჩატარდებოდა 2012 წლის 12 ივლისს, 17:00 საათზე და რომლის შესაბამისად, აუქციონზე გამოტანილ იქნა სოფელ ჭვინთაში მდებარე კლუბ-ბიბლიოთეკის შენობა – მიწა – 121 კვ.მ და მასზე მდებარე შენობა – 97 კვ.მ. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 8000 ლარი, „ბიჯი” საწყისი გასაყიდი ფასის 10%. ბე – ნაკვეთის ღირებულების 30% ანუ 2400 ლარი.

**მოსამართლე მარიკა ჩიტაშვილი:** მოსარჩელემ აუქციონზე 8000-იანი ქონება 1.900.000 ლარად თავისი ნება-სურვილით შეიძინა.

მიუხედავად ამ ფაქტობრივი გარემოებებისა, ახალციხის მოსამართლე მარიკა ჩიტაშვილის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„იმ გარემოებას, რომ შპს „ბემონმა” ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ აუქციონზე თავისი ნება-სურვილით 1900000 ლარად შეიძინა 8000 ლარად შეფასებული უძრავი ქონება, სასამართლო ვერ მიიჩნევს ზნეობის ნორმების დარღვევად, რადგან თვითონ ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება საზოგადოდ აღიარებულ ზნეობრივ პრინციპებს ან საჯარო წესრიგს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასარჩელო მოთხოვნები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს”.

ბიზნესმენები ამბობენ, რომ მათი ინფორმაციით, ამ ქოხში გადახდილი 1 900 000 ლარი რაბათის მშენებლობას მოხმარდა.

საქმეს სააპელაციო სასამართლო განიხილავს. ღირს თუ არა ფოტოზე წარმოდგენილი ქოხი თითქმის 2 მილიონი და რა ზნეობრივ ან ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნო მოსამართლე მარიკა ჩიტაშვილი, ამაზე თავის საბოლოო სიტყვას ზემდგომი ინსტანცია იტყვის...

**თამარ ლეფსვერიძე**

**“ილორის” კომენტარი – რა თქმა უნდა, ქართულ ოცნებას ახალციხეში დიდი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს, რადგან მარიკა ჩიტაშვილისთანა არამზადა მოსამართლეები ყველანაირად ასხამენ ლაფს მმართველი ძალის ავტორიტეტს!**

# ისრაელის მოქალაქეები რუსულ პენსიას მიიღებენ

მიმდინარე წლის 7 ივნისს, მოსკოვში, კრემლში, ისრაელსა და რუსეთის ფედერაციის მეთაურების ბენიამინ ნეთანიაჰუსა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრისას, ხელი მოეწერა სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაცია ვალდებულებას იღებს ისრაელის მოქალაქეებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ რუსეთის ფედერაციაში, მათ შორის საბჭოთა კავშირის პერიოდში, გადაუხადოს ფიქსირებული პენსია.

შეთანხმების თანახმად პენსია დიფერენცირებულია, როგორც სიბერით და ინვალიდობით, ასევე მარჩენალდაკარგული ისრაელის მოქალაქეთათვის.

წინასწარი გათვლებით ისრაელში პენსიას დაახლოებით 100.000 მოქალაქე მიიღებს.

რუსეთის ფედერაციის 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა ამ მიზნისთვის 5,4 მილიარდი რუსული რუბლია. (დაახლოებით 69 მილიონი აშშ დოლარი).

პენსიების დარიგება დაიწყება ფორმალური საკითხების მოგვარების შემდეგ, დაახლოებით ამ წლის ბოლოდან.

არა და, ამგვარი პენსია არც ქართველებს გვაწყენდა, რადგან საბჭოთა ებრაელებზე ნაკლები წვლილი ნამდვილად არ მიგვიძღვის საბჭოთა კავშირის აღმშენებლობის საქმეში!

იმედი ვიქონიოთ!

# ერთი აფხაზური სიმღერის ისტორია

**„ვარადო“** ძველი აფხაზური ხალხური სიმღერაა, რომელსაც სხვადასხვა სახელწოდებითაც შეხვდებით, მათ შორის **„დაჭრილის სიმღერა“** და **„კლდის სიმღერა“.** მას აფხაზურთან ერთად, არაერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლების შესრულებითაც მოისმენთ. ბოლოს **„ვარადო“** გადაცემა **„იქს ფაქტორში“,** კონკურსის მონაწილე გიგი ადამაშვილმა ფოლკლორისტ გიორგი უშიკიშვილთან ერთად 20 ივნისს იმღერა. ქართულ ინტერნეტ სივრცეში ამ სიმღერის შესახებ მწირი ცნობები მოიპოვება, თუმცა ინფორმაცია მისი ტექსტის შინაარსზე, ქორთუა-ახობაძის 1957 წლით დათარიღებულ **„აფხაზური სიმღერების კრებულშია“** დაცული. ეთნომუსიკოლოგის და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივისა და ბიბლიოთეკის სამსახურის მთავარი კოორდინატორის, ნინო შველიძის თქმით, **„ვარადო“** სამგლოვიარო სიმღერაა, რომელსაც საფუძვლად აფხაზური ლეგენდა უდევს და ორი ძმის ტრაგიკულ ხვედრზე მოგვითხრობს.

ლეგენდა იმით იწყება, რომ ძმები შარპი აცვა და ხურკი აცვა სანადიროდ მიდიან. შარპი აცვას გზად თექვსმეტრქიანი ირემი შემოეყრება. გაჰყვება ცხოველის კვალს და დაინახავს მას მაღალი კლდის ქიმზე მდგომს. ავა კლდეზე, თუმცა შემოაღამდება და დაბლა ჩამოსვლას ვეღარ მოახერხებს. შარპი აცვა ძმისთვის ხმის მისაწვდენად სიმღერას დაიწყებს. ხურკი აცვა მონახავს ამ კლდეს, თუმცა სიბნელის გამო დახმარება გაუჭირდება. მის გასამხნევებლად და იმიტომაც, რომ ძმას არ ჩასძინებოდა, ხრამში არ გადაჩეხილიყო, შარპი აცვა სახუმარო სიმღერების შესრულებას იწყებს.

**„ეს ვერ გაიგო იმ ძმამ, რომელიც აქეთ გასაჭირში იყო და ბრაზობდა, რა სიმღერებს მიმღერისო. დილა რომ გათენდა, ჩამოიყვანა. როცა მდინარის მეორე ნაპირას გადადიოდნენ, ხურკი აცვამ შარპი აცვას უკნიდან იარაღი ესროლა და მოკლა. ამის შემდეგ წავიდა სახლში და დედამისს მოუყვა ყველაფერი. დედამ აუხსნა, ისეთ სიმღერებს იმიტომ გიმღეროდა, რომ არ დაგძინებოდა და გემხიარულაო. ძალიან იდარდა მერე ეს ხურკი აცვამ და მდინარეში იმ ადგილას ჩავარდა, სადაც თავისი ძმა მოკლა. ისიც გარდაიცვალა“,** – ასე სრულდება ლეგენდა.

სიმღერის შინაარსი ტრაგიკულია, და ამიტომაც არის მუსიკის ხაზი ნაღვლიანი და მწუხარების გამომხატველი.

ხობის მუზეუმის დირექტორი ნანა ჯალაღონია ამბობს, რომ **„ვარადოს“** გავრცელება ფართო საზოგადოებისთვის, მისი ჩაწერა, დამუშავება, ქართველი ლოტბარის, ძუკუ ლოლუას სახელს უკავშირდება. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონის მცხოვრები, 1904-1917 წლებში აფხაზეთში მოღვაწეობდა. ეს ხალხური სიმღერა გუდაუთაში გლეხებისგან მოუსმენია, მოსწონებია და მეგობრის და აფხაზური სიმღერის მცოდნე აბას კოღონიასთვის უთხოვია, ერთობლივად საფუძვლიანად შეესწავლათ.

**„მანამდე არ იმღერებოდა, სოფელში თუ მღეროდა ვინმე. ძუკუ ლოლუამ აღადგინა, გააკეთილშობილა, 80 კაციან ქართულ-აფხაზურ გუნდს ასწავლა და მოიტანა“,** – გვითხრა მუზეუმის დირექტორმა.

ეს ფოლკლორული გუნდი მან 1904 წელს შექმნა და ხელი მიჰყო აფხაზური სიმღერების, ცეკვისა და საკრავების შეგროვებას. დაუახლოვდა იმდროინდელ აფხაზ მომღერლებს და აფხაზური სიმღერის მცოდნეებს, მათ შორის აბას კოღონიას, მალხაზ ეშბას, გუჯუჯი მარღანიას.

დღეს **„ვარადოს“** აფხაზურის მსგავსად, ქართული ფოლკლორული ანსამბლების რეპერტუარშიც შეხვდებით. ლეგენდის საფუძველზე შექმნილ სამგლოვიარო სიმღერას ხშირად მოისმენთ ქართულ სხვადასხვა კონკურსსა თუ მუსიკალურ ღონისძიებაზე.

**ნინო თოლორაია**

# ბრიტანეთის რეფერენდუმი და საქართველო

20 ივნისიდან დაწყებული, 24 ივნისის ჩათვლით, მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე უსერიოზულეს ძვრებს ჰქონდა ადგილი, ისეთს, მრავალი წლის განმავლობაში რომ სერიოზულ გავლენას იქონიებს კაცობრიობაზე. მკითხველი ალბათ გადაჭარბებულად ჩამითვლის ჩემს ვარაუდს, მაგრამ საერთაშორისო ვითარებაში გარკვეული, არა. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი და ტაშკენტში გამართული შანხაის ორგანიზაციის მორიგი სამიტი **(„შოსი“)** არის ის, რაც მაიძულებს გამოვიტანო მსგავსი დასკვნა.

დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმი, ევროკავშირში დარჩენა-გამოსვლასთან დაკავშირებით, ისეთი რამ იყო, ყველა რომ ინტერესით ადევნებდა თვალს. ეს, ის შემთხვევა იყო, როდესაც მთელი ევროპა ფიქრობდა ბრიტანეთის გასვლის შესახებ, მაგრამ გულში იმედოვნებდა, რომ ამას ადგილი არ ექნებოდა.

ვარაუდი არ გაუმართლდათ. მიზეზი ბევრია და მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შევეცდები აღვნიშნო მთავარი, რამაც აიძულა ბრიტანელები უარი ეთქვათ ევროკავშირისთვის. სოციალური მდგომარეობა და სუვერენიტეტი – აი, ამ ორმა ფაქტორმა გადაწყვიტა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა.

1951 წელს შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის კავშირი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანის (**Robert Schuman**) ინიციატივით. მასში საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი შევიდნენ. შექმნის მიზანი წმინდა ეკონომიკური ხასიათისა იყო, თუმცა, წლების განმავლობაში, ამ ორგანიზაციამ სახელიც იცვალა და პოლიტიკაც, რასაც უდავოდ აშშ-ა უბიძგეს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში, უკვე ევროკავშირად წოდებულმა ორგანიზაციამ კარდინალურად შეცვალა სტრუქტურა, იერარქიული წყობა და, რაც მთავარია, პოლიტიკა. ევროკავშირი იქცა ნაკლებად ეკონომიკურ, მეტად პოლიტიკურ ორგანიზაციად – მტკიცე იარაღად აშშ-ს ხელში, რუსეთის წინააღმდეგ. ორგანიზაციამ თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნია არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების თავის რიგებში გაწევრიანება, არამედ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაც.

ცხადია, მათი ევროკავშირში შესვლა სუსტი ეკონომიკისა და განუვითარებული სოციალური ყოფის შედეგად, შეუძლებელი გახდა, მაგრამ დაახლოების მიზნით ასოცირებული წევრობით დაჯილდოებამ უკრაინა, საქართველო და მოლდოვა მიაბა ბრიუსელის კარს. ამ აქტით, სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წასახალისებლად, ისე, როგორც დათვს ცირკში, პირში შაქარი ჩაუდეს და უთხრეს, თუ კარგად მოიქცევით, რუსეთისკენ არ გაიხედავთ და ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ – კარსაც გაგიღებთო.

რა იყო და არის ბრიუსელის მიზანი ამ სამთან დაკავშირებით?

რუსეთის გავლენის სფეროდან გაყვანა, მისთვის პრობლემების შექმნა. სწორედ ევროკავშირის ჯიქური პოლიტიკის შედეგად მოხდა სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში, რომელიც ომსა და ქაოსში გადაიზარდა. რომ არა ევროკავშირის ხელმძღვანელობის კატეგორიული განცხადება უკრაინასთან მიმართებაში – ან ჩვენთან უნდა იყოთ, ან რუსეთთანო – უდავოდ არ ექნებოდა ადგილი იმას, რასაც უკრაინაში აქვს ადგილი.

ევროკავშირის დედაქალაქი ბრიუსელი არა მარტო გეოგრაფიულ ცნებად გადაიქცა, არამედ დიქტატორულად, ანუ ზეეროვნულ ცნებად. ბრიუსელმა თავი ნამდვილ ერთპიროვნულ მმართველად ჩათვალა და საკუთარი პოლიტიკა თავს მოახვია 28 წევრ-სახელმწიფოს, რითაც ხელჰყო მათი სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, თავისუფლება. შემთხვევით არ მოუწოდებიათ ინგლისელ პოლიტიკოსებს ხალხისთვის – ხმა მიეცით დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობასო.

როდესაც ბრიუსელელი მაღალ-დაბალი მოხელეები იღებენ გადაწყვეტილებას 28 სახელმწიფოს ნაცვლად და მათ ხელისუფლებას მხოლოდ კანონის ასრულებას თხოვენ, დიქტატია და მეტი არაფერი. როდესაც ბრიუსელი დიდ ბრიტანეთს, სხვებს საკუთარი საბაჟო სისტემის ფუნქციონირებისთვის საკანონდებლო აქტებს უქმნის და მას (მათ) მხოლოდ შესრულების კონტროლს ავალებს, დიქტატურაა.

როდესაც ბრიუსელი, აშშ-ს ბრძანებით, სანქციებს უწესებს რუსეთს და ყველა წევრ-სახელმწიფოს ავალებს ასე მოიქცეს – დიქტატურაა. როდესაც ევროკავშირის წევრები, თანაც ისეთი წონიანები, როგორებიცაა იტალია, ავსტრია, უნგრეთი, სხვები მოითხოვენ ანტირუსული სანქციების გაუქმებას, ვინაიდან მათ ბევრი იზარალეს ამით და ვერაფერს ხდებიან ბრიუსელთან, დიქტატია. როდესაც ბრიუსელი ავალდებულებს კავშირში შემავალ ქვეყნებს ათეულ-ათასობით ლტოლვილის მიღებას, დიქტატია.

ყოველივე ამან და სხვამ ინგლისელთა მოთმინების ფიალა აავსო, რამაც აიძულა ბრიტანეთის მთავრობა ჩაეტარებინა რეფერენდუმი. ინგლისი ყოველწლიურად იხდიდა ევროკავშირის წევრობის საწევროს 10 მილიარდი ევროს სახით, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა დედოფლის ქვეშევრდომთა შორის. ისინი ხშირად აცხადებდნენ – ვიხდით მონობის ფულსო.

ბრიტანეთის გადაწყვეტილებამ შეაზანზარა მსოფლიო. სრული შესაძლებელია, რომ ბრიტანეთის მაგალითი სხვამაც გაიზიაროს. ასეთები არცთუ ცოტაა. მათთვის უმთავრესი, საკუთარი სუვერენიტეტის და პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაბრუნებაა. რეფერენდუმის შედეგები სერიოზულ გავლენას იქონიებს გერმანიის, საფრანგეთის, სხვა წევრი სახელმწიფოების არჩევნებზე. სრული შესაძლებელია დღევანდელი ხელისუფლების ცვლა.

რეფერენდუმი გავლენას იქონიებს შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებზეც. ევროკავშირისა და ნატოს მოწინააღმდეგე ტრამპს მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდება. ტრამპის გამარჯვებას უდავოდ მოჰყვება დიდი პოლიტიკის ცვლა. ბრიტანეთის რეფერენდუმმა გზა გაუხსნა ახალ აზროვნებას, პოლიტიკურ არენაზე მოვლენების ახლებურ განვითარებას, რაც რევოლუციის ტოლფასია.

საქართველო რახანია ილტვის ევროპისკენ, თუმცა ნაკლები წარმატებით – მიზეზთა გამო. მთავარი მიზეზი სუსტი ეკონომიკაა, არანაკლებად სუსტი სახელმწიფოებრიობა, სასამართლო სისტემა, სოციალური სიდუხჭირე და სხვა მრავალი. ის, რაც საქართველოსთვის გაიმეტა ევროკავშირმა – ასოცირებული წევრობაა, ისეთი, როგორიც ლათინური ამერიკისა და ჩრდილო აფრიკის არაერთ ქვეყანას აქვს.

იძლევა თუ არა ასოცირება, წევრობის შანსს? როგორც ბრიუსელმა განგვიმარტა – არა! ევროკავშირის წევრობისთვის საჭიროა საკუთარი კანონების ევროპულად გადაკეთება, რაც შრომატევადი საქმეა და წლები ესაჭიროება. ევროკავშირში შესასვლელად საჭიროა ეკონომიკის განვითარება. ეს უფრო შრომატევადი საქმეა და, რაც მთავარია, ხარჯებთანაა დაკავშირებული. ეკონომიკას ინვესტიციები ესაჭიროება. ინვესტიციას კი მაძღარი ევროპელი პატარა და არამდგრად ქვეყანაში არ განახორციელებს.

საქართველო არც ერთი პარამეტრით არ აკმაყოფილებს ევროკავშირის წევრობის მოთხოვნებს, რაც იცის საქართველოს ხელისუფლებამ, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ხალხს სინამდვილე უთხრას – ტყუილი მოლოდინებით ბერავს. მაინც რატომ კადრულობს ამას ხელისუფლება? უპირველესად იმიტომ, რომ გულის კუნჭულში მასაც სჯერა, რომ ევროკავშირის წევრობის ღირსია, რაც სრული სისულელე და უტოპიაა. და მეორეც, მას სურს ევროკავშირსა და ნატოში შესვლა, ვინაიდან მისი აზრით ქვეყნის ეკონომიკას ბრიუსელს ჩააბარებს, ხოლო თავდაცვას – ასევე ბრიუსელს, ნატოს სახით.

რა სჯობია ამას. გქვია სახელმწიფო, გქვია ხელისუფლება და ეკონომიკა-პოლიტიკა-თავდაცვა სხვას აკისრია. სხვა გიქმნის კანონებს და ქცევის წესებს, შენ კი ხარ განცხრომაში, დასეირნობ ევროპაში, დიდ ხელფასს იღებ, მაგრამ პასუხისმგებლობა სხვისია. ნებისმიერი ხელისუფლება, რომელსაც სახელმწიფოებრიობის ოდნავი განცდა მაინც გააჩნია, ვერ შეეგუება ასეთ **„დამოუკიდებლობას“**. ვერ შეეგუა დიდი ბრიტანეთი, მაგრამ ეგუება საქართველო – წინასწარ, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებამდე.

რეფერენდუმის დროს არაერთხელ გაიჟღერა ინგლისელ მცირე და საშუალო მეწარმეთა გულისწყრომის გამომხატველმა განცხადებებმა, საკუთარი ნაწარმის ევროპის ბაზარზე შეტანის საწინააღმდეგო ბარიერების თაობაზე. განსაკუთრებული უკმაყოფილება იყო მეთევზეთა მხრიდან. საქართველოს ხელისუფალთა მიხედვით, ევროკავშირის ბაზარი ღიაა ქართული პროდუქციისთვის.

მაგრამ რა პროდუქციაზეა საუბარი, როდესაც ვერაფერს ამზადებ? რასაც ამზადებ – ღვინოს და მინერალურ წყლებს – ევროპაში უხვადაა, რაც თავისთავად გამოიწვევს მათზე კვოტების დაწესებას. ევროპულ საქონელს კი საქართველოს ბაზარზე შეუზღუდავი ნავარდის საშუალება ექნება, რაც თავისთავად გამოიწვევს თვით ქართულ ბაზარზე კონკურენციას, ადგილობრივი წარმოების დაცემას და ა.შ.

არის თუ არა აკვიატებული ევროპული გზა ქვეყნისთვის გამოსადეგი? ქაღალდზე და ოცნებაში შესაძლებელია, მაგრამ ოცნების რეალობად გადაქცევას ბევრი დრო სჭირდება, შესაძლოა არაერთი თაობა. ამასობაში აღარც ევროკავშირი იქნება და აღარც ნატო.

რა სჯობს, რა გზის არჩევა? ამ კითხვამ, ბრიტანეთის რეფერენდუმის შემდეგ, მეტი აქტუალობა შეიძინა. მსოფლიოში ევროკავშირის წევრ 27 სახელმწიფოზე ათჯერ მეტი ქვეყანაა და ისინი არცთუ ცუდად ცხოვრობენ. მთავარია ქვეყნის პოლიტიკა, რომელიც ნაცვლად სხვაზე ჩამოკიდებისა, საკუთარ ქვეყანაზე და შრომაზე გაამახვილებს ყურადღებას, აქცენტს გადაიტანს მეზობლებთან ვაჭრობაზე, სადაც ჯერ კიდევ გადის აქაური პროდუქცია. მეზობლების დახმარებით ისეთი ტრადიციული დარგების ამუშავებაზე, როგორებიცაა მეცხოველეობა, მეჩაიეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობა და სხვა. საკუთარი ნაწარმის ექსპორტისთვის მისწრებაა ევრაზიული კავშირის ბაზარი, სადაც ჩვენნაირი ქვეყნებია გაერთიანეული, სადაც საქართველოს და მის პროდუქციას კარგად იცნობენ.

ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობების დამყარებას ბევრი ქვეყანა ცდილობს, ისე, როგორც **„შოს“**-თან. ტაშკენტში გამართულმა მორიგმა სამიტმა იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ მასში გაწევრიანდნენ ინდოეთი და პაკისტანი. დღევანდელ **„შოს“**-ში ბირთვული იარაღის მქონე 4 სახელმწიფოა რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთისა და პაკისტანის სახით.

უდიდესია მათი ადამიანური რესურსებიც. არანაკლებია ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის წარმოების დონეც. ავიღოთ ერთ-ერთი მათგანი – ჩინეთი. ეროვნული პროდუქტის წარმოებით ჩინეთმა 2014 წელს მსოფლიოში პირველი ადგილი მოიპოვა – 17,6 ტრილიონი დოლარი – მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ხოლო აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიხედვით – 18,1 ტრილიონი დოლარი. იმავე ორგანიზაციების მიერ რუსეთი მეხუთე-მეექვსე ადგილზეა გამწესებული 3,6 ტრილიონი დოლარით.

2014 წლის მონაცემებით, ჩინეთმა აწარმოა 2,5 მილიარდი ტონა ცემენტი ანუ მსოფლიო წარმოების 60%; 0,9 მილიარდი ტონა ფოლადი (49%); 0,6 მილიარდი ტონა თუჯი (54%); 3,9 მილიარდი ტონა ქვანახშირი (47%); 1,5 მილიარდი ტონა რკინის მადანი (50%); 24 მილიონი ტონა ალუმინი (46%).

იბადება კითხვა – რისთვის სჭირდება ყოველივე ეს ჩინეთს? – ყველაზე სწრაფი გზების, ცათამბჯენების, ხიდების, რკინიგზის სადგურების, აეროპორტების, ქალაქების, ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად.

2011-დან 2013 წლამდე ჩინეთმა იმდენი ცემენტი დაამზადა, რამდენიც აშშ-ა 100 წლის განმავლობაში. მსოფლიოში 330.000 კილომეტრის სუპერ თანამედროვე გზებია, რომელთაგან 112.000 კმ ჩინეთშია, 77.000 კმ – აშშ-ი; 32.000 კმ სწრაფი რკინიგზიდან 15.300 ჩინეთშია, აშშ-ი – 362 კმ, რუსეთში – არც ერთი. 2018 წელს დამთავრდება პეკინის აეროპორტის მშენებლობა, რომელიც წლიურად 45 მილიონ მგზავრს მოემსახურება. ჩინეთმა ააშენა ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიგანე 2 კილომეტრია, კაშხლის სიმაღლე 182 მეტრი. სხვა მონაცემების მოყვანაც შიძლება, თუმცა ესეც კმარა.

რამ გამოიწვია 30 წლის წინათ ჩამორჩენილი ქვეყნის, მსოფლიოს პირველ ეკონომიკად გადაქცევა? უპირველესად კერძო და სახელმწიფო სექტორების გონივრულმა შერწყმამ.

ქვეყნის შიდა მოწყობასთან ერთად, ჩინეთმა დაიწყო უცხოეთში ინვესტიციების ჩადება, რომელიც დღევანდელი 744 მილიარდი დოლარიდან 2 ტრილიონამდე გაიზრდება 2020 წლისთვის. სად არ ნახავთ ჩინურ ინვესტიციებს. ჩინეთმა 2009 წლიდან დაიწყო აქტივების ინტენსიური შეძენა აშშ-ი. თუ 2009 წელს ის ამ საქმეში 100 მილიონ დოლარს ხარჯავდა, 2016 წელს – 5 მილიარდს ხარჯავს. ჩინეთი აწვდის აშშ-ს სამხედრო მრეწველობას მილიონ დეტალს. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ჩინეთი ავითარებდა რეალურ სექტორს, აშშ-ი კი ზრდიდა საგარეო ვალს, ბირჟებზე სპეკულაციას.

დღევანდელი ამერიკის ექსპორტი, ორჯერ ჩამოუვარდება იმპორტს და საერთო მოცულობით ის არა მარტო ჩინეთს ჩამოუვარდება, არამედ გერმანიას. თუ წინათ აშშ-ში წარმოება იძლეოდა 80% მოგებას, დღეს იძლევა მხოლოდ 50% და ისიც საფინანსო სექტორის წყალობით.

ჩინეთზე ბევრის თქმა შეიძლება, ვინაიდან ფაქტი წარმატებისა სახეზეა. წარმატებული ქვეყნების რიცხვშია ინდოეთიც. **„შოს“**-ში ამ ორი გიგანტის არსებობა ბევრს ნიშნავს. უპირველესად კი იმას, რასაც ეკონომიკური წინსვლა ჰქვია. მაინც რაოდენ ბრმა უნდა იყოს ხელისუფლება, გვერდით მიმდინარე პროცესები ვერ დაინახოს და ცხრა მთას იქით იმზირებოდეს. ხომ არ დადგა ჟამი ასეთი ხელისუფლების დათხოვნის და რადიკალურად განსხვავებული კურსის ამოქმედების?

**...ევროკავშირში შესასვლელად საჭიროა ეკონომიკის განვითარება. ეს უფრო შრომატევადი საქმეა და, რაც მთავარია, ხარჯებთანაა დაკავშირებული. ეკონომიკას ინვესტიციები ესაჭიროება. ინვესტიციას კი მაძღარი ევროპელი პატარა და არამდგრად ქვეყანაში არ განახორციელებს...**

20 წელიწადზე მეტია სადღაც მივექანებით, ნაკლები დაფიქრებით და გააზრებით. რა მოგვიტანა ამან? სახეზეა – გაპარტახებული ქვეყანა, დაგლახავებული ხალხი. სადამდე უნდა გაგრძელდეს უკომპასო ბოდიალი?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

# ჯაბა ხუბუა: სულხან მოლაშვილის საქმემ გიგა ბოკერია განსასჯელის სკამზე უნდა დასვას!



*პარიზის ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში ღვიძლის უკმარისობით გარდაიცვალა საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი სულხან მოლაშვილი – დევივით ახალგაზრდა კაცი ვეღარ გაუმკლავდა ნაცდაშნაკთა მიერ წამებით გამოწვეულ დაავადებებს და გარდაიცვალა 47 წლის ასაკში. ქართველი კაცი საქართველოში მოკლეს სააკაშვილმა, ბოკერიამ, ადეიშვილმა და მათსავით მახინჯმა არსებებმა, რომლებიც ბავშვობაშივე დაზიანდნენ ფიზიკური თუ სულიერი ხარვეზის ან არასწორი აღზრდის გამო და, "ნაციონალურ მოძრაობად" სახელდებულები, ენით აუწერელ ტრაგედიად დაატყდნენ თავს საქართველოს მოსახლეობას შევარდნაძისა და ევროამერიკელ მასონ-პედერასტთა ბოროტი ნებით. ისინი კიდევ ბევრ სიცოცხლეს იმსხვერპლებენ, თუ დროზე არ მივუჩინეთ ადგილი პოლიტიკურ სასაფლაოზე, რადგან მათი მიზანი საქართველოს განადგურებაა – მათ ეზიზღებათ საქართველო, რადგან კარგად იციან, რომ საქართველოს ეზიზღება ეს მახინჯი და სულბინძური არსებები.*

*სწორედ ზეციურ საქართველოში გადანაცვლებულ სულხან მოლაშვილს ეძღვნება წერილების ციკლი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ნაციონალ არაკაცთა ბოგინს და რომელიც მუდამ შეგვახსენებს იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ მტრის დანდობა არ შეიძლება და მტერი, უეჭველად, დროზე უნდა გაანადგურო!*

*ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას წერილს, რომელიც ჯერ კიდევ 2014 წელს გამოქვეყნდა გაზეთში "ასავალ-დასავალი" და სულხან მოლაშვილის გამოხმაურებას სააკიანცის ოდესის გუბერნატორად დანიშვნის ფაქტზე.*

## ჯაბა ხუბუა: სულხან მოლაშვილის საქმემ გიგა ბოკერია განსასჯელის სკამზე უნდა დასვას!

სააკაშვილის რეჟიმი, როგორც დემოკრატიული ფასეულობების მტერი და საქართველოში ავტორიტარულ-დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელი, საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ ერთხელ ოფიციალურად იქნა მხილებული, თანაც ისეთი ავტორიტეტული ინსტიტუტის მიერ, როგორიც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოა.

საუბარია საქართველოს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის საქმეზე, რომელზეც სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა და სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი ევროკონვენციის 4 მუხლით გაამართლა.

კერძოდ, სტრასბურგის სასამართლომ სულხან მოლაშვილი წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლად აღიარა.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სულხან მოლაშვილის მიმართ დაირღვა თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, სასამართლო განხილვის უფლება და იგი გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი.

ძვირფასო მკითხველო, ეს არის სტრასბურგის სასამართლოს მეორე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს სისტემურ დანაშაულში ამხელს.

პირველი იყო გადაწყვეტილება სანდრო გირგვლიანის საქმეზე, როცა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა და თავის განჩინებაში შეშფოთებით აღნიშნა, რომ საქართველოს მთელი ხელისუფლება, პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის მეთაურობით, ჩართული იყო იმაში, რომ გირგვლიანის საქმის გამოძიება გაყალბებულიყო და საქმეზე სამართლიანი სასამართლო არ შემდგარიყო.

გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, წესით, ცხვირწინ უნდა უფრიალებდეს ყველა იმ უცხოელ დიპლომატს, პოლიტიკოსსა თუ პოლიტიკანს, რომლებიც სააკაშვილსა და ნაცბანდას დღემდე მკერდით არიან გადაფარებული და **"დემოკრატიის შუქურად"** წარმოაჩენენ.

იმედია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ახლა მაინც მიიღებს ზომებს საიმისოდ, რომ სულხან მოლაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა ევროდეპუტატისა თუ ამერიკელი სენატორის მაგიდაზე მოხვდეს, რათა მათ მორალური უხერხულობა მაინც იგრძნონ სააკაშვილისა და მისი ნარჩენების ქომაგობის გამო!

– ეს გადაწყვეტილება არის ათწლიანი ლოდინის, ათწლიანი ბრძოლის შედეგი, რომელსაც სულმოუთქმელად ველოდით. ეს არის დასტური ნაციონალური მოძრაობის სისხლისმსმელი რეჟიმის უტყუარი არსებობისა, ნაციონალური მოძრაობის მესვეურების მიერ წარმოებული პოლიტიკისა ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ეს არის მაგალითი, თუ როგორი არ უნდა იყოს ხელისუფლება და როგორ არ უნდა გააუბედურონ ოჯახები და როგორ არ უნდა გაამწარონ ადამიანთა სიცოცხლე – ასე გამოეხმაურა სულხან მოლაშვილი თავის საქმეზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას სულხან მოლაშვილისთვის კომპენსაციის სახით, სამი თვის ვადაში 20 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. და რაც ყველაზე მთავარია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მთავრობას დაავალა, 1 წლის ვადაში გამოიძიოს სულხან მოლაშვილის საქმე.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, საქართველოს მთავარი პროკურატურა ვალდებულია, გაარკვიოს, კონკრეტულად ვინ აწამა სულხან მოლაშვილი, ვინ მოექცა მას არაადამიანურად და ღირსების შემლახავად, ვინ წაართვა სამართლიანი სასამართლოს უფლება!

პროკურატურას ამ პირთა გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა არ უნდა გაუჭირდეს, რადგან სულხან მოლაშვილი პირდაპირ ადებს ხელს სააკაშვილის ხელისუფლების იმ მაღალჩინოსნებს, რომლებმაც მის წამებაში მიიღეს მონაწილეობა.

აი, რას აცხადებდა სულხან მოლაშვილი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ – 2012 წლის ნოემბერში:

**"როდესაც დაჭერები დაიწყო, მე არ გავქცეულვარ, სამართალდაცვის ორგანოებში მივედი და პირველსავე ღამეს მოხდა ჩემი წამება. ოთახში ბნელოდა, თვალი მქონდა ახვეული, მაგრამ კარგად გავარჩიე, თუ ვინ მონაწილეობდა ჩემს წამებაში. ისინი იყვნენ: გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი, გოგა გრიგალაშვილი და სხვები. არყით გაჟღენთილი, მთვრალი დამქაშები და სპეციალისტები ადამიანის წამებისა, რომლებიც ელექტროშოკით და სიგარეტის დაწვით იმთავითვე ასიამოვნებდნენ მიხეილ სააკაშვილს".**

სულხან მოლაშვილის მიერ საკუთარ მწამებლად დასახელებული ზურაბ ადეიშვილი, რომლის წინააღმდეგაც რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მოგეხსენებათ, საქართველოდან გაქცეულია, მაგრამ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დადგება დრო, როცა მას საქართველოში ჩამოიყვანენ და გაასამართლებენ, მათ შორის, სულხან მოლაშვილის წამებისთვისაც.

სამაგიეროდ, არსად გაქცეულა და დღესაც ნაციონალურ მოძრაობას ლიდერობს გიგა ბოკერია, რომელსაც, როგორც მწამებელს, სულხან მოლაშვილი ასევე პირდაპირ ადებს ხელს!

ასე რომ, სულხან მოლაშვილის საქმემ გიგა ბოკერია განსასჯელის სკამზე უნდა დასვას!

მით უმეტეს, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების კვალდაკვალ საქართველოს პროკურატურას ამის გასაკეთებლად ყველა სამართლებრივი გზა ხსნილი აქვს!

და კიდევ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამართლებული სულხან მოლაშვილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის გადადგომას მოითხოვს:

**"სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში საუბარია მიხეილ სააკაშვილისა და კოტე კუბლაშვილის მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაზე, ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური დებულების უგულებელყოფაზე. სააკაშვილის შემთხვევაში ეს მისი იმპიჩმენტის საფუძველი უნდა გამხდარიყო, ხოლო კუბლაშვილმა ახლავე შეიძლება იგრძნოს მორალური პასუხისმგებლობა. უმჯობესია, საიმპიჩმენტოდ არ გაიხადოს საქმე და თვითონ გადადგეს".**

დიახ, ძვირფასო მკითხველო, კოტე კუბლაშვილს ადამიანური და თუნდაც პროფესიული ღირსების ნატამალი მაინც თუ აქვს შერჩენილი, სულხან მოლაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობიდან უყოყმანოდ უნდა გადადგეს!

დაბოლოს, როგორც წერილის დასაწყისში მოგახსენეთ, სულხან მოლაშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების სახით საქართველოს დანაშაულებრივი ბანდა მართავდა!

იქნებ ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ევროპის ის პოლიტიკური წრეებიც დააფიქროს, რომლებიც სააკაშვილის დანაშაულებრივ ბანდას დღემდე კბილებით იცავენ!

იქნებ სამართლებრივი და პოლიტიკური ევროპის პოზიცია სააკაშვილის ბანდასთან დაკავშირებით ახლა მაინც დაემთხვეს ერთმანეთს!

ჯაბა ხუბუა

## "როგორ ბედავს სააკაშვილი მის დაბოღმილ, კოკაინით და კორუფციით გათანგულ აზროვნებაში, რომ ბიძინა ივანიშვილზე ილაპარაკოს?!"

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორის, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ, არამართებული და არაორდინარული ადამიანის ნამოქმედარს უწოდებს.

როგორც **"რეპორტიორის"** პრესკლუბში სულხან მოლაშვილმა განაცხადა, მიხეილ სააკაშვილმა მისი კეთილდღეობა სამშობლოში გაცვალა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას თავისი მშობელი ქვეყანა არასდროს ჰყვარებია.

**"მიხეილ სააკაშვილი რომ არაორდინარული პიროვნებაა და მხოლოდ საკუთარ თავზე და კარიერაზე ფიქრობს, მე მგონი, არავისთვის სადავო არ უნდა იყოს. მან ძალიან მარტივად, ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში გაცვალა. შეუძლებელია, შენი ქვეყნის მოქალაქე დარჩე და ამავდროულად სხვა ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში იყო. ეს ისეთი ანი და ბანია იურისპრუდენციაში და საერთაშორისო სამართალში, რომელიც მხოლოდ სააკაშვილისნაირმა "განსწავლულმა" იურისტებმა არ იცოდნენ. თუმცა, მე ეჭვი მეპარება, რომ სააკაშვილმა ეს არ იცოდეს. მან მშვენივრად იცის ეს საკითხი, მაგრამ იმდენად დიდია ამ ადამიანში ეგოისტური და მაჯლაჯუნური ლტოლვა ეკრანზე გამოჩენისა, რომ ვერ ერევა. მას აქვს ავადმყოფური მიდრეკილება განდიდებისაკენ, თანამდებობისკენ, სიმდიდრისკენ, რაც არაერთხელ დადასტურდა, მისი 9-წლიანი რეჟიმის დროს და მანამდეც, ვიდრე ის პრეზიდენტი გახდებოდა. ის იყო კორუფციის ჭაობში ჩაქცეული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმთავითვე, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდა",** – განაცხადა სულხან მოლაშვილმა, როცა ავადსახსენებელი სააკიანცის წარსული გაიხსენა.

მისი განცხადებით, ეს ეთნიკურად არაქართველი დაშნაკი ხელისუფლებაში თავიდანვე არაკეთილსინდისიერი გზით მოვიდა. ხოლო ოდესის მოსახლეობა მალე მოიშორებს მას თავიდან.

**"სააკაშვილის მთელი თვალთმაქცური ბიოგრაფიის ფონზე, მხოლოდ სამძიმრის სიტყვები შეგვიძლია ვუთხრათ ოდესელ ხალს. ისეთი არასტაბილური ფიგურის გუბერნატორად დანიშვნა აუცილებლად გამოიწვევს სოციალურ რყევებს და რისი იმედიც აქვს სააკაშვილს, რომ იგი გადაიქცევა მძლავრ ფინანსურ წყაროდ "ნაციონალური მოძრაობისთვის", ეს სისულელეა",** – განაცხადა მოლაშვილმა.

სააკაშვილის განცხადებებს იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს რესურსებით გამდიდრება სურს, სულხან მოლაშვილმა არასერიოზული ადამიანის რეპლიკა უწოდა.

**"მე არ ვიცი, როგორ ბედავს სააკაშვილი მის დაბოღმილ, კოკაინით, კორუფციით და ათასი ილუზიებით გათანგულ აზროვნებაში, რომ კიდევ ასე ლაპარაკობს. კიდევ ისმის მისგან ჭორვილის პროვინციალიზმზე საუბრები. რა იცის სააკაშვილმა ჭორვილა და მისი მნიშვნელობა? რა იცის, რა დიდი ცივილიზაცია იყო ამ ტერიტორიაზე",** – განაცხადა მაშინ სულხან მოლაშვილმა...

### მოლაშვილის გარდაცვალებას გამოეხმაურენ ცნობილი ადამიანები

**ზაზა ფირალიშვილი:** საზოგადოება, ალბათ მაშინ გვერქმევა და ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებიდან მაშინ უნდა ველოდეთ სიკეთეს, როდესაც ის ადამიანები, ვინც ამის მსგავს რამეს ჩაიდენენ, ხმის ამოღებას ვეღარ გაბედავენ და თავისი უტიფრობით ადამიანის რწმენას არ დაგვაკარგვინებენ. ნებისმიერი, ვისაც ძალუძს რაიმეთი მაინც გაამართლოს მოლაშვილის (და კიდევ ბევრის) წამება, არა მხოლოდ პოლიტიკას არ უნდა გაეკაროს, არამედ ადამიანის სახელს არ უნდა ატარებდეს. ვიცნობდი მას. ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც სიცოცხლით სავსე კაცი იყო. ბოლოს კი მძიმე ავადმყოფი ვნახე. ესმით კი რა ჩაიდინეს? ცხადია – არა. ესმით კი, რომ თუკი მათ არსებობას ვიტანთ, მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარ თავს ვცემთ პატივს და ბარბაროსული შურისძიებით ქვეყანა სისხლიან კალოს არ გვინდა დავამსგავსოთ? ეგებ, დაოკდეთ ბატონებო და მიიმალოთ თქვენ-თქვენს ჯურღმულებში?

**ოთარ ჩრდილელი:** სულხან მოლაშვილი გარდაიცვალა! ადამიანი, რომელიც შეიწირა, არაკაცმა სააკაშვილმა და მისმა არამზადა ნაცბანდამ... ხსოვნა და სამუდამო პატივგება იყოს, ბატონი სულხანის...

**ბაკურ ეფენია:** ყოველთვის მეჯავრებოდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც ადამიანების ტრაგედიებით სპეკულირებდნენ, მაგრამ სულხან მოლაშვილის გარდაცვალების თემა ის საკითხია, როდესაც პოლიტიკას და **"ნაციონალების"** ცხრაწლიან რეჟიმს გვერდს ვერ ავუვლით; ვერ ავუვლით თუნდაც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, რომელმაც მის მიმართ ევროპული კონვენციის 4 მუხლის დარღვევა დაადგინა.

**თამაზ მეჭიური:** შეიწირეს სატანებმა... რატომ არ აღშფოთდნენ **"მეგობარი"** ქვეყნების ელჩები?

**პაატა ქურდაძე:** უნიკალური ინსტიტუციონალური სადიზმის კიდევ ერთი მსხვერპლი. ძალიან ვწუხვარ!

**თაკო ჩხეიძე:** ძალიან შემეცოდა, რაც ეს კაცი აწამეს და ტანჯეს, აგო ვინმემ პასუხი?!

**ხათუნა ქორდანია:** 2003 წლის ნოემბერი. თავზარდაცემული ვარ – მერაბი დაიჭირეს. დაბნეული ვარ, სასოწარკვეთილი, არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცე. მგონია ცა დამემხო თავზე. ამ დროს გაისმა მობილურის ხმა. გამარჯობა ხათუნა. სულხანი ვარ მოლაშვილიო. გამიკვირდა. არ ვიცნობდი. დამამშვიდა, გამამხნევა: და რაც მთავარია არ ინერვიულო შენი ძმა ნაღდი კაციაო, მითხრა. იმ წუთიდან შემიყვარდა, ჩემს პატივისცემას ის ყოველთვის იმსახურებდა, მითუმეტეს მის ცოლთან და ცოლის დასთან ბავშვობიდან ვახლობლობდი. ამის შემდეგ დავმეგობრდით. შემდეგ დაიჭირეს. ვგულშემატკივრობდი. ბოლოს მისი შვილის ქორწილში ვნახე.

კიდევ ერთი კარგი კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან. აცხონოს ღმერთმა მისი სული.

***"ილორის"** კომენტარი – მოდით, ერთხელაც ჩავხედოთ თვალებში იმ ხალხს, რომლებიც ჯერ კიდევ უჭერენ მხარს ავადსახსენებელ "ნაციონალურ მოძრაობას" და მის ნარკომან თავქარქაშა ბელად სააკიანცს!*

# ნაციონალები ქუჩაში 50 ათას კაცს კი არა, 50 ინდაურს ვერ აგროვებენ







ამ რამდენიმე დღის წინათ **"რუსთავი-2"**-ის გენერალურმა პროკურორმა და მიხეილ სააკაშვილის კაკოია თაბაგარმა ნიკა გვარამიამ თავისი მიკროფონიანი სპირიდონა სულანჯიები თუ ასინეთები შეკრიბა, სხვებსაც დაუძახა და ხელისუფლების გასაგონად მორიგი **"რეჩი"** დაჰკრა:

**"თუ გნებავთ ჩვენი დასისხლიანებული სახეების ყურება დარბევის შედეგად, თქვენ მიიღეთ ამ სახეებს და ამას ნახავს საქართველოს მოსახლეობა პირდაპირ ეთერში, მაგრამ ჩვენ აქედან არ გავალთ! მოგიწევთ ამ სახეების ყურება! მოგიწევთ "რუსთავი-2"-თან ერთად ამ სახეების ყურება და, როგორც ჩანს, არჩევნების წაგება! ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ "რუსთავი-2"საარჩევნოდ ეთერში არ იყოს. ეს მაფიქრებინებს, რომ ზუსტად იცით, თუ "რუსთავი-2" ოქტომბრამდე იქნება ეთერში, თქვენი არჩევნების ბედი გადაწყვეტილია. მე მინდა წავიკითხო ერთადერთი წინადადება ადამიანის უფლებათა დეკლარაციიდან! „ვინაიდან აუცილებელია, ადამიანის უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს, მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მე მოგიწოდებთ, დაგვიტოვოთ ჩვენი უფლებების დაცვის კანონისმიერი დაცვის მექანიზმები, რომელიც ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ჩვენთვის მონიჭებულ ყველა უფლებას, რათა დავამარცხოთ ტირანია!"**

ერთი სიტყვით, პატივცემული ანზორ გვარამიას ბიჭმა და გვამებით მოვაჭრე ვანო მერაბიშვილის ხელისბიჭმა ნიკამ დიდი ხნის სურვილი და ოცნება, როგორც იქნა, კვნესა-კვნესით გაგვიმჟღავნა – თქვე **"საზიზღრებო"**, ავჯანყდებითო!

ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, ნებსით თუ უნებლიეთ, ბევრი აჯანყებული მინახავს და გვარამიასა და მისთანების გასაგონად ხმამაღლა ვიტყვი – ვერცერთი ბუნტისთავი გამარჯვებული, ბედნიერი და გალაღებული ვერ ვნახე! ზოგმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ზოგი ბანდიტურ გარჩევებს ემსხვერპლა, ზოგი სამუდამოდ დახეიბრდა, ზოგი ნარკოტიკების მონა გახდა, ხოლო ზოგის ცოდვილი სისხლი იმ ფულს გადაესხა, რომელიც აჯანყებაში მონაწილეობის საფასურად გადაუხადეს და ზანდუკში დამალა...

აბა, გაიხსენეთ – გვარამია, სააკაშვილო, ბოკერია, გაბაშვილო, თარგამაძე და წიკლაურო – ხალხისათვის თქვენი დასისხლიანებული სახეების კი არა, მოკლული დედის ცხედრის ჩვენებას გეგმავდით! აკი შეგიკვეთათ კიდეც სააკაშვილმა ამ რამდენიმე თვის წინათ სატელეფონო საუბარში – ახალგაზრდა დედის გვამი გვჭირდება **"რუსთავი-2"**-ის ეზოში გაშლილ კარვებთან, რათა ხალხი ძალიან აღშფოთდესო!

მოკლედ, ვანო მერაბიშვილი ორი გვამით ვაჭრობდა, სააკაშვილი დედის გვამს ითხოვდა! სულ სისხლითა და ცხედრებით მოდიხართ და ისევ სისხლსა და ცხედრებზე ოცნებობთ!

არადა, გვარამია უდღეურო, შენი და გიორგი გაბუნიას გასისხლიანებული სიფათების დანახვა ვის რა ჯანდაბად უნდა? ხომ დაიზაფრნენ ბავშვები და ხომ გაუშრათ რძე ძროხებს?

ბიზანტიის იმპერიას ახსოვს ნიკას აჯანყება, რომელმაც 532 წლის იანვარში კონსტანტინოპოლში მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი იმპერატორის იუსტინიანე დიდის (527-565 წ.წ.) მმართველობის დროს იფეთქა. აჯანყებულები ერთმანეთის ამოსაცნობად გაიძახოდნენ ბერძნულ სიტყვას – **"ნიკა!"**, რაც **"გაიმარჯვეს"** ნიშნავს. სწორედ აქედან შემორჩა ამ აჯანყებას ეს სახელი და მსოფლიო ისტორიაში **"ნიკას აჯანყება"** გამორჩეულად სისხლიანი და საშინელი დრამაა, რომელსაც მაშინდელი პლანეტის ულამაზესი და უდიდესი ქალაქი კონსტანტინოპოლი და დაახლოებით 50 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

არ შევუდგები იმის დეტალურ აღწერას, თუ რა მოხდა მაშინ კონსტანტინოპოლის იპოდრომზე, სადაც ბიზანტიელი აჯანყებულები იყვნენ შეკრებილი... გეტყვით მხოლოდ იმას, რომ იმპერატორი იუსტინიანე დიდი, რომელიც, ფაქტობრივად, დედაქალაქიდან წასვლასა და ხელისუფლების დატოვებას აპირებდა, მისმა უჭკვიანესმა და ენერგიულმა მეუღლემ, დედოფალმა თეოდორამ იხსნა მარცხისაგან. სწორედ, უმშვენიერესმა თეოდორამ, რომელიც ოდესღაც კონსტანტინოპოლის ცირკის მსახიობი იყო, უბრძანა სარდალ ველიზარს, კიდევ ერთხელ ეცადა აჯანყებულთა დამარცხება. სარდლის უკანასკნელმა მცდელობამ გაამართლა, იუსტინიანე დიდი გადარჩა და მის ხელში ბიზანტიის იმპერიამ თავისი დიდების მწვერვალს მიაღწია!

სამაგიეროდ, ვერ გადარჩა კონსტანტინოპოლის იპოდრომზე შეკრებილი ის 50 ათასზე მეტი აჯანყებული, რომლებიც შეიპყრეს და თითქმის ერთიანად გაჟუჟეს!

მაშინ, ბიზანტიაში **"ნიკას აჯანყება"** ნამდვილად შედგა, რადგან იმპერატორს, მინიმუმ, 50 ათასი კაცი მაინც დაუპირისპირდა!

საქართველოში ნიკას აჯანყება ნამდვილად ვერ მოხდება, რადგან ნიკა გვარამია და გვამებით მოვაჭრე მისი ფიურერები – სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი ქუჩაში 50 ათას კაცს კი არა, 50 ინდაურს ვერ აგროვებენ. განა არაერთგზის არ გამოაშკარავდა, რომ მომიტინგეთა დასაკომპლექტებლად ნაცდაშნაკები სკოლის მოსწავლეებს ატყუებენ – ექსკურსიაზე მივდივართო, სინამდვილეში კი სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე აყენებენ!

სააკაშვილს ერთი პროცენტიც რომ ჰქონდეს იმის იმედი, მის დაძახილზე ქუჩაში 50 ათასი კაცი გამოვარდება, ფეხით, ნიფხავ-პერანგისამარა გამოიქცევა ოდესიდან და მაშინვე თბილისში მოადენს ზღართანს, მაგრამ იცის, ხალხმა **"ერთ ადგილზე"** რომ გაუშვა და ამიტომაც ქოქავს თავის კაკოია თაბაგარს – ნიკა გვარამიას – არიქა, მოიფიქრე რაღაც, თორემ დაგვენგრა ოჯახიო!

ბიზანტიაში **"ნიკას აჯანყება"** ცუდად დამთავრდა!

საქართველოში ნიკას აჯანყება არ მოხდება, მაგრამ ნიკა გვარამია რომ ცუდად დაამთავრებს, ამაზე შავით თეთრზე წერია გარეჯელი მკითხავის კარაბადინში!

**დიტო ჩუბინიძე**

# ევროკავშირი იშლება, თურქეთმა ბოდიში მოუხადა რუსეთს, რა გზას დაადგება საქართველოს ხელისუფლება?

*(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)*

პარიზი, ბერლინი, მადრიდი, რომი, ალბათ, გარკვეულ დასკვნას გააკეთებენ მომხდარიდან.

**– თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რუსეთს თვითმფრინავის ჩამოგდებისთვის ბოდიში მოუხადა. ნიშნავს თუ არა ეს ფაქტი იმას, რომ რუსეთი მსოფლიოში გასათვალისწინებელ ძალად იქცა და რომ მსოფლიო ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დგას?**

– ერდოღანს უკან დახევა და დათმობა საერთოდ არ სჩვევია. ექსპერტთა აზრით, ერდოღანმა იმიტომ დათმო, რომ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, რადგან მრავალ პარტნიორთან და მეზობელთან გაიფუჭა ურთიერთობა. მათგან ერთ-ერთია გერმანია, რომელმაც სომხების გენოციდი აღიარა. გერმანია, ასევე, წინააღმდეგი იყო თურქეთთან უვიზო მიმოსვლისა. ასე რომ, თურქეთს გამოსავალი არ დარჩა, მას ეკონომიკურადაც გაუჭირდა და საჭიროდ ჩათვალა, რუსეთისთვის ბოდიში მოეხადა. მართალია, რუსეთი გასათვალისწინებელი ძალაა.

**– და, თუ თურქეთისთვის არის რუსეთი გასათვალისწინებელი ძალა, როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება?**

– ქართულ დიპლომატიას მეტი ყურადღება და შორსმჭვრეტელობა მართებს. თურქეთის მობოდიშებას მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, მზერა რუსეთისკენ უნდა მივაპყროთ. ბარიერები არსებობს, მაგრამ ყველაფერზე უარის თქმა არ შეიძლება. ახლა იმაზე საუბრობენ ქართველი პოლიტიკოსები, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სოჭში არ უნდა წავიდეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმზეო. არადა, რუსეთმა ქართველი მინისტრი ოფიციალურად მიიწვია. ვფიქრობ, ასეთი შანსი ხელიდან გასაშვები არ არის, თუ გვსურს, მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის აღდგენა, მაშინ ყველა გზა უნდა გამოვიყენოთ.

**მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა**

## ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ გაზეთ "საქართველო და მსოფლიოს". მაისი, 2012 წელი

"ევროკავშირს, მხოლოდ "ძველ ევროპას" რომ მოიცავდეს, შეეძლო საკმაოდ დიდხანს – კიდევ 20 წელი ეარსება და ეკონომიკურად განვითარებულიყო, მაგრამ ამერიკელებმა დაჟინებით მოითხოვეს ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეყვანა, რათა ისინი რუსეთისთვის მოეწყვიტათ და ამავე დროს, ევროკავშირი დაესუსტებინათ, ამან კი საერთო ვითარება ძირეულად შეცვალა. დღეს კავშირის წამყვან წევრებს – გერმანიას, საფრანგეთს, ინგლისს ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკის მხარდაჭერა საკუთარი რესურსების ხარჯზე უწევთ. ის სახსრები, რომლებიც ტრადიციული, მაგრამ შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნების (ესენია იტალია, საბერძნეთი ესპანეთი და სხვ.) ეკონომიკის მხარდასაჭერად იხარჯებოდა, ახლა კავშირის ათეულობით ახალ წევრ ქვეყანაზე იფანტება. რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? გერმანელებს მობეზრდათ ევროპელი მუქთახორებისთვის მეწველი ძროხის როლში ყოფნა. ეკონომიკის არათანაბარი განვითარება შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნების თანაარსებობას საერთო სამართლებრივი სივრცის ჩარჩოებში. საბერძნეთის გაკოტრება მხოლოდ დასაწყისია. პორტუგალია, ირლანდია, ესპანეთი რიგში დგანან, ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს იტალიას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო ვალიც ყველა დასაშვებ ზღვარს აღემატება. საერთოდ, დროა, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან ევროპელებსა და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას "ბერძნული ვარიანტი" ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება...

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უპერსპექტივოს ხდის ევროკავშირის არსებობას, ხალხთა ეროვნული თვითშეგნებაა. მიუხედავად ამერიკელების წარმოდგენისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ საერთო ეკონომიკური სივრცე თანდათან წაშლიდა ეროვნულ განსხვავებებს და ერები გადაიქცეოდნენ ერთიან უეროვნებო მასად, ევროპის ხალხების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშეგნება ეზრდება, ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს. ერთიანი ევროპის კონსტიტუცია, მიუხედავად კოლოსალური აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობისა, მაინც ვერ მიიღეს. ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ვეღარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ) აშშ-ის თანამონაწილეობით მოილაპარაკებენ.

ევროპის ერები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ, მეტიც, აშშ-ისა და ზოგადევროპული სტრუქტურების მხრიდან განხორციელებულმა ზეწოლამ უკურეაქცია – ნაციონალიზმის ზრდა გამოიწვია. დღეს სულ უფრო მეტი გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი ითხოვს მიგრაციის შეზღუდვას, და არამხოლოდ აფრო-აზიური, არამედ აღმოსავლეთ ევროპულისაც. მოითხოვენ ეროვნული ვალუტის დაბრუნებას, ევროპის შიგნით საბაჟოების აღდგენას, ეროვნული ბაზრების დაცვას, ეროვნული საქონლისა და ადგილობრივი მუშახელის მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმს. მეტიც – ევროპული ქვეყნების შიგნითაც ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები: იტალია ჩრდილოეთად და სამხრეთად გახლეჩის ზღვარზე დგას, ესპანეთსა და ინგლისში რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის საშიშროებაა. პატარა ბელგიაც კი – თავის დროზე ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო, სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და ყოველ წუთს დაშლა ემუქრება, ბრიუსელი კი ამ დროს ევროკავშირის დედაქალაქია.

თუ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ერების მზარდ უკმაყოფილებას, არ დააბრუნებენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში, მაშინ შედეგი უფრო სერიოზული იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლაა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ფაშიზმის სამშობლოა. ფაშისტური და ნახევრადფაშისტური რეჟიმები გასული საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო, სრულიად ევროპა დაავადდა ფაშიზმით. და დღეს, დაუკმაყოფილებელი ეროვნული მოთხოვნები, შეიძლება რეალურ ფაშისტურ განწყობილებებში გადაიზარდოს...

# ქართულ ნაცარში ჩავარდნილი სომხური კოვზი




პოლიტიკური გაერთიანება **„ცენტრისტების“** ხელმძღვანელობა ნაციონალ გიგი წერეთლის ეუთოს საპარლამენტო პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებას გამოეხმაურა და სკანდალური განცხადება გაავრცელა:

**– „გიგი წერეთლის დასახელება “ეუთოს” საპარლამენტო პრეზიდენტობის კანდიდატად არის სააკაშვილის 9-წლიანი დანაშაულებრივი რეჟიმის და ამასთანავე 2008 წლის ომის გადაფარვის მცდელობა.**

**რუსეთის დელეგაციის მხარდაჭერა გიგი წერეთლის მიმართ არის რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების, რუსეთის პრეზიდენტის და ასევე საქართველოს წინააღმდეგ მიმართული.**

**ლეონიდ სლუცკი არის ჟირინოვსკის პარტიის წევრი და იგი, ამავე დროს, არის გოჩა არევაძის ახლო მეგობარი. საზოგადოებას კი შევახსენებ, რომ გოჩა არევაძე გახლავთ სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრის ხათუნა კალმახელიძის ბიძა.**

**ლეონიდ სლუცკი ტყუის, როდესაც საუბრობს, რომ მისი მხარდაჭერა გიგი წერეთლისადმი არის ქართველი ხალხისადმი პატივისცემა.**

**მივმართავ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციას, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი, რადგან რუსეთის “ეუთოს” დელეგაციის მოქმედება არის სააკაშვილის რეჟიმის და 2008 წლის სააკაშვილის მიერ პროვოცირებული ომის გამართლება, რაც არამარტო რუსეთის, არამედ საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგაცაა მიმართული.**

**საქართველოს ხელისუფლებას ვთხოვ მტკიცე პროტესტი გამოთქვან გიგი წერეთლის შესაძლო არჩევასთან დაკავშირებით,“** – ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გიგი წერეთელი ზედიზედ ორჯერ იყო არჩეული ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე და, ბუნებრივია, იგი ამ პოზიციას აქტიურად იყენებდა პარტიული მიზნებისათვის, თუმცა, საზოგადოებისთვის უცნობია, რამდენად ეფექტიანად ხელმძღვანელობდა ამ პეროდში საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებით.

2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა ერთ-ერთ მთავარ სადამკვირვებლო მისიას წარმოადგენს, ხოლო გიგი წერეთელი ამ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე მხარეა. შესაძლოა გაჩნდეს განცდა, რომ საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მას ექნება შესაძლებლობა, რაიმე ფორმით გავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგების შეფასებაზე.

**“ქართულმა ოცნებამ”** მიიჩნია, რომ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი. განსაკუთრებულად გასათვალისწინებელია ის, რომ **ენმ**-ის ლიდერი თუ პარტიასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა პირები ღიად გამოხატავენ საქართველოში **“რევოლუციური სცენარის”, “აჯანყების”** თუ სხვა ტიპის უკანონო ქმედებებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილს. ამ განცხადებებიდან და ოპოზიციის ცალკეული ქმედებებიდან გამომდინარე, ჩნდება განცდა, რომ **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის”** მიზანია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დელეგიტიმაცია უკანონო და ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის არჩევამ საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება ჩრდილი მიაყენოს ეუთოს სადამკვირვებლო მისიის შედეგების ობიექტურად და დაბალანსებულად აღქმას. ეს გახლდათ საქართველოს ხელისუფლების მტკიცე პოზიცია.

არ ვიცი, რამდენად იმოქმედა საქართველოს ხელისუფლების სათანადო რეაქციამ და ცენტრისტების წერილმა არჩევნების შედეგებზე, მაგრამ ფაქტია, რომ გიგი წერეთელს **ეუთო**-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობამდე 13 ხმა დააკლდა. ამ დაშნაკების თანამგრძნობ მანქურთს სურდა ქართველთა სისხლზე გადარბენით მიეღწია ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობის სავარძლამდე, მაგრამ, როგორც იტყვიან, კოვზი ჩაუვარდა ნაცარში.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის 25-ე, ყოველწლიური სესია, რომელიც 1-5 ივლისის ჩათვლით საქართველოში მიმდინარეობდა, თბილისის დეკლარაციის მიღებით და ასამბლეის ხელმძღვანელი პირების არჩევით დასრულდა.

როგორც უკვე ვთქვით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობამდე **“ნაციონალური მოძრაობის”** ერთ-ერთ ლიდერს გიგი წერეთელს 13 ხმა დააკლდა. საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად ავსტრიის წარმომადგენელი კრისტინა მუტონენი აირჩიეს. პრეზიდენტის ასარჩევად კენჭისყრის მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო, ვინაიდან ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა.

არჩევნების მეორე ტურის შედეგების მიხედვით ავსტრიის წარმომადგენელ კრისტინა მუტონენს 86-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი, გიგი წერეთელს კი 73-მა.

ახალი პრეზიდენტი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას 1 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. გიგი წერეთელი რჩება ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად მომავალი 2 წლის განმავლობაში.

**“მე არ ვაგებ, ვიგებ ან ვსწავლობ. ახლა მე ვისწავლე ბევრი რამ, მათ შორის საკუთარი სახელისუფლებო პარტიისგან და ვეცდებით, რომ ეს ნასწავლი გამოვიყენოთ ჩვენს მომავალ საქმიანობაში”** – განუცხადა ჟურნალისტებს გიგი წერეთელმა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესიის დასრულების შემდეგ.

**“მთავარი ჩემთვის ერთი რამაა, რომ ეს ასამბლეა წარმატებით დასრულდა. ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც აქ ჩამოვიდა, კმაყოფილია. მე მიხარია, რომ ჩემი ქვეყნისთვის ეს იყო კარგი ამბავი, შეიძლებოდა ყოფილიყო უკეთესი ამბავიც საქართველოსთვის, მაგრამ ჩვენმა სახელისუფლებო გუნდმა სხვანაირად იფიქრა. მე ახლა არ დავიწყებ საქმის გარჩევას, ყველაფერი ვიცი. მე დღეს გამოვხატე ჩემი განწყობა, მივულოცე კანდიდატებს. დიდი მხარდაჭერა მქონდა, მეორე ტური გაიმართა. სამწუხაროდ, ბევრი ჩემი მხარდამჭერი გუშინ წავიდა – აშშ-ს, გერმანიის და სხვა დელეგაციებიდან, მათ მოუხდათ რეისების გადაცვლა. ამიტომ მე ვიცოდი, რომ მეორე ტური რთული იქნებოდა. ამას დაემატა გარკვეული სამუშაო, რომელმაც როგორ იმოქმედა, ამის ანალიზს გავაკეთებ, მაგრამ ჩემთვის მთავარია რეზოლუცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ და ასამბლეა, რომელიც ჩავატარეთ”,** – განაცხადა გიგი წერეთელმა.

მისივე თქმით, ის თავის გეგმებზე უარს არ ამბობს და არ გამორიცხავს, ასამბლეის პრეზიდენტის პოსტზე მომავალშიც იყაროს კენჭი.

დაშნაკებს კოვზებს რა გამოულევს, ქართველებს კი ნაცარი გვაქვს თავსაყრელად და, როგორც ჩანს, თავშესაქცევი ამბები არ შემდეგ შემოგვაკლდება, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ევროპის სახალხო პარტია საქართველოში შემოთესლილი ქართულად გვარგადაკეთებული სომხების სადარაჯოზე კვლავაც მედგრად იდგება და შეეცდება უკვე პოლიტიკურ სამარეში ჩასვენებული ნაცების რეანიმირებას!

# რუსეთის დაშლაზე მეოცნებეებს ევროკავშირი ჩამოეშალათ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლით დაიწყო შეუქცევადი პროცესი ევროკავშირის დაშლისა; კავშირის, რომლის შექმნაც ათეული წლების წინათ ასე დაიწყო:

***– ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანებით 1951 წელს დაიწყო ევროპის კავშირის შექმნა;***

***– ევროპული თანამეგობრობა შეიქმნა 1957 წელს – ე.წ. “რომის შეთანხმება” და ეწოდებოდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ანუ “საერთო ბაზარი”;***

***– ატომური ენერგიის ევროპული თანამეგობრობა შეიქმნა 1957 წელს;***

ევროპის კავშირში ინტეგრაციული პროცესების მთავარი მიზნები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტით:

***– რომის შეთანხმებით – ხელი მოეწერა 1957 წელს;***

***– ერთიანი ევროპული აქტით – ხელი მოეწერა 1987 წელს;***

***– მაასტრიხის შეთანხმებით – ხელი მოეწერა 1992 წელს;***

***– ამსტერდამის შეთანხმებით – ხელი მოეწერა 1997 წლის ოქტომბერში;***

***– ევროკავშირის ძირითადი დოკუმენტი დღეს არის 2003 წლის “მიერთების შეთანხმება” (Treaty of Accession), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ზემოაღნიშნული შეთანხმებებით განსაზღვრული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებები, ჩამოყალიბებული ერთიან დოკუმენტში – ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტში, რომლის მიღების პროცედურა ამჟამად მიმდინარეობს”,*** – აღნიშნულია **“ვიკიპედიაში”**.

მიმდინარეობს თუ მიმდინარეობდა? თუმცა ვინ იცის, ჩვენი **“ზაპადნიკების”** მსგავსად, რომლებიც ბრიტანეთში გამართული რეფერენდუმის შემდეგაც განაგრძობენ ნატო-ევროპის ზღაპრით ხალხის მოტყუებას, ევროკავშირის ლიდერებიც იმავეს სჩადიან ამ გაერთიანების რიგითი წევრების მიმართ, იშველიებენ რა ნიცშეს ცნობილ ფილოსოფიურ პარადიგმას – **“რაც არ გვკლავს, ის მხოლოდ გვაძლიერებს”** და, აქედან გამომდინარე, იქნებ ევროპის კონსტიტუციაზე მუშაობასაც განაგრძობენ?

ჰოდა, თვალი დაუდგეს ევროპას! თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ხანგრძლივი (1951-2016) კრუნჩხვა-ჭინთვების, კონვულსიების შემდეგ **“გარდაიცვალა ბებია ელპიტე”...**

ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან უეჭველად მოჰყვება ე.წ. დომინოს ეფექტი და ევროკავშირის საბოლოოდ დაშლა მხოლოდ დროის ამბავია.

ამაზეა ნათქვამი: **“მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო”** – რუსეთის დაშლაზე მეოცნებეებს ევროკავშირი ჩამოეშალათ!

რეფერენდუმი, როგორც ცნობილია, ბრიტანეთის პრემიერის, ევროკავშირის თავგადაკლული მომხრის – დევიდ კემერონის ინიციატივით ჩატარდა და, ნეტავ, რად აიტკივა აუტკივარი თავი?!

პასუხი მარტივია: ბატონი პრემიერი დარწმუნებული იყო, რომ რეფერენდუმზე ევროკავშირში დარჩენას მისცემდნენ ხმას, რომლის შემდეგაც ერთხელ და სამუდამოდ დაეკარგებოდათ ლაპარაკის ხალისი ე.წ. ევროსკეპტიკოსებს.

კემერონის ოპტიმიზმი რუსოფობიასაც ემყარებოდა. აკი განაცხადა კიდეც რეფერენდუმამდე ერთი თვით ადრე პროპაგანდისტულ მიმართვაში ბრიტანეთის მოქალაქეებისადმი: **“ვის გაუხარდება ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლა? – რა თქმა უნდა, ამით პუტინი და ალ-ბაღდადისი იქნებიან ბედნიერები”.**

ეს ხომ პიროვნული შეურაცხყოფაა რუსეთის პრეზიდენტისა. ვლადიმერ პუტინისა და **“ისლამური სახელმწიფოს”** მეთაურის ერთ **“ქვაბში მოხარშვა”** რუსეთის პრეზიდენტის მოძულეთათვისაც კი მიუღებელი უნდა იყოს.

რეფერენდუმის შემდეგ კი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას, რომ პუტინი გახარებულია რეფერენდუმის შედეგებით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ასე უპასუხა: **“მე სამედიცინო განათლება არ მაქვს, ჩემი ბრიტანელი კოლეგის განცხადება კი სწორედ სამედიცინო სფეროდან არის და ამიტომ კომენტარს არ გავაკეთებ”.**

გახარებით კი, თუ ვინმეა გახარებული, ეს ბრიტანეთის დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ნაიჯელ ფარაჯია: **“ეს არის უბრალო ხალხის გამარჯვება. ეს არის ჩვენი გამარჯვება ბანკების მოხელეთა, ბიზნესმენთა და დიდ პოლიტიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლაში”.**

ასევე კარგ განწყობაზეა ევროსკეპტიკოსთა კიდევ ერთი აღიარებული ლიდერი, ლონდონის ყოფილი მერი ბორის ჯონსონი, რომელიც ბრიტანეთის პრემიერობის უპირველესი კანდიდატია.

ნიშანდობლივია, რომ რეფერენდუმზე ევროპაში დარჩენას მხარი დაუჭირა დიდი ქალაქების მოსახლეობამ და ევროსკეპტიკოსებმა მცირე უპირატესობა, ხატოვნად თუ ვიტყვით, ერთსართულიანი, “პროვინციული” ბრიტანეთის ხარჯზე მოიპოვეს, ანუ ტრადიციული ღირებულებების მომხრე ბრიტანელებმა მხარი დაუჭირეს ეროვნულ იდენტობას, ნორმალურ სექსუალურ ორიენტაციას, ქრისტიანულ მორალზე, ზნეობრიობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ევროკავშირის ლიბერალური იდეოლოგია ბოლო ხანს გააფთრებით ებრძოდა.

სახელმწიფოთა ნებისმიერი კავშირი ნიშნავს საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილის ამ კავშირის სასარგებლოდ ნებაყოფლობით დათმობას.

ასე იყო სსრკ-ში და ასეა ევროკავშირშიც, მაგრამ ევროკავშირის შემთხვევაში ეს “ნაწილი” ისე დიდი აღმოჩნდა, რომ მსგავსი სსრკ-შიც არ დასიზმრებიათ – ბევრი ევროპის ნახევარმილიარდიანი მოსახლეობა სინამდვილეში აშშ-ის კოლონია-სატელიტია, რომელიც თეთრი სახლის დაუკითხავად არათუ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, არამედ ვაშინგტონს იმასაც კი ეკითხება, რამდენი კოვზი შაქარი ჩაიყაროს ჩაიში.

ნაცნობი სურათია, არა?

თუმცა ჩვენ უარეს დღეში ვართ, რადგან, თუ ევროპა ამერიკის მონაა, საქართველო ევროპის მონაა, ანუ, კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, **“კაცის კაცი, რა კაციაო”** და მონის მონა რაღა იქნება?!

ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან უკვე უწოდეს მიწისძვრა. ასეთ დროს კი ჭკვიანი ხალხი შენობიდან გარბის. ევროპელები უკვე დაუფარავად ამბობენ, ევროკავშირში, ახალი წევრები (თურქეთი, უკრაინა, საქართველო) მივიღოთ კი არა, ეგებ, ვინც გვყავს, ისინი დავაკავოთო.

ეს ისე, როგორც შტირლიცი იტყოდა, ინფორმაცია განსასჯელად მათთვის, ვინც აცხადებს, რომ სწორედ ახლაა ჩვენი დრო და უეჭველად მიგვიღებენ ევროპაში.

ანალიტიკოსთა აზრით, დაშლილი ევროპის ადგილზე ისე აღმოცენდება ეროვნული სახელმწიფოები, როგორც ადრე, იმ ბედნიერ დროს, როდესაც ქალი ქალობდა, კაცი კაცობდა და არც საზღვრები იყო **“პრახადნოი დვორი”,** როგორც დღეს; და ამ სახელმწიფოებს ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ერთმანეთთან სავაჭრო, კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობები ექნებათ და არა აშშ-ის დიქტატით.

ევროპული შოკი დროსა და სივრცეში დაემთხვა სანკტ-პეტერბურგში გამართულ გრანდიოზულ ეკონომიკურ ფორუმს, რომელზეც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ბიზნესმენებმა რუსეთთან ტრილიონი (!) რუბლის მოცულობის ბიზნესპროექტები გააფორმეს.

ტაშკენტში კი გაიმართა **თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის** ქვეყნების პირველი პირების შეხვედრა და ამ ორგანიზაციაში ორი ახალი სახელმწიფო (ბირთვული) – ინდოეთი და პაკისტანი მიიღეს; ხოლო მესამე, არაბირთვული, მაგრამ დიდი ეკონომიკური პოტენციალის ირანი მომავალ წელს შეუერთდება ე.წ. **თშო**-ს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო დიდი ცვლილებების მოლოდინშია. მთავარი კი მაინც ის მგონია, რომ ევროკავშირის დაშლით დასრულდება აგრესიული ნეოლიბერალიზმის შეტევა ადამიანისთვის ღვთის მიერ ბოძებულ ფასეულობებზე, როგორიცაა სამშობლო, ეროვნება, რელიგია, ოჯახი და ა.შ. სხვა მრავალი მორალურ-ზნეობრივი კატეგორია, რომლებზეც აღმოცენდა ცივილიზაცია.

ასეა, ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ არავის გაუმარჯვია და, უფლის ნებით, ვერც ვერავინ გაიმარჯვებს!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნეტავ, გამოჩნდება საქართველოში ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც კონფორმისტულ პოზიციაზე (ნატო და აგერ უკვე ევროპაც იმიტომ არ გვინდა, რომ მაინც არ მიგვიღებენ) უარს იტყვის და ხმამაღლა განუცხადებს საკუთარ ხალხს, რომ ქართველების ხსნა ერთმორწმუნე მართლმადიდებელ რუსეთთან სტრატეგიული კავშირის დამყარებაშია?..

**დავით მხეიძე**

# უცხო სიტყვათა კოლხური წარმომავლობა

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

გარდა ამისა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბერძნულად თითი არის დაქტილოს (dactilos). არსებობს დაქტილური ანბანი სხვადასხვა ენაში მათ შორის არსებობს ქართული დაქტილური ანბანი (ამ ანბანს ჩვენ მივაგენით ენციკლოპედიაში **„ქართული ენა“**, გამომცემლობა **„ეროვნული მწერლობა”,** თბილისი 2008 გვ.441). ჩვენი აზრით, ეს ანბანები გენეზისში დაკავშირებულია სწორედ იმ უძველეს ერასთან, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ხელებით და თითებით ელაპარაკებოდნენ, და კითხულობდნენ ერთმანეთის ნათქვამს მოსაუბრის თითების მოძრაობის საშუალებით და ეს იყო პირველი კითხვა (კით-ხუა) კაცობრიობის ისტორიაში, ბერძნულში კითხვა diabadzo და თითი dactilos სხვადასხვა სიტყვებია, მაშინ როდესაც კოლხურში ისინი ერთმანეთს ემთხვევა. მარტო აქედან შეიძლება დავასკვნით, რომ კოლხური ენა უძველესია ბერძნულზე. თუმცა, რაც შეეხება სიტყვა თითს – ბერძნულად dactilos, მისი ფუძე ჩვენი აზრით უნდა იყოს ct რომელიც თითქმის ემთხვევა კოლხურ „კით“-ს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვა „კითხუა“-ს ჩვენეული ასეთი ეტიმოლოგიის ალბათობა ძალზედ დიდია, რადგანაც კოლხურში ბლომადაა ისეთი, თუ შეიძლება ასე ითქვას. „ატავისტური“ სიტყვები, რომელთა ასაკი ათასწლეულებით განისაზღვრება და რომლის ერთ-ერთი მაგალითი ეს სიტყვაც შეიძლება იყოს.

ასევე, მეგრულად „კითუა“ ნიშნავს ძაფის ხვევას, ეს პროცესი თითებთანაა დაკავშირებული, ამიტომ ხომ არ შეიძლება ბერძნული სიმებიანი საკრავის, კითარის სახელი, რომელიც არის თანამედროვე გიტარის წინაპარი, ასევე დავაკავშიროთ მეგრულ „კით“-თან, რადგანაც მასზე დაკვრა ასევე თითებთანაა დაკავშირებული.

**კოპული** – მეგრულად ნიშნავს ისარს, შურდულს, „მეგრულად კოპული შურდულია. შურდულივით ნატყორცნი სხივი – კოპალას ნიშანია“ (ა.გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“ გვ. 262) –„ალბათ თვით მზე მიაჩნდათ კოპალედ (მეგრ. კოპული-შურდული), რადგან სხივებს „ისვრის და ასობს“ (მ.ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, 1906, გვ. 84).

ამ ნაწყვეტებიდან სჩანს, რომ კოპალას მთავარი ატრიბუტი, რომლისგანაც მისი სახელია ნაწარმოები, არის „კოპული“ (ისარი, შურდული).

ასევე კოპულიდანაა ნაწარმოები ქართული სიტყვა „კოპი“, რომელიც ჩნდება კოპულის მორტყმის შედეგად. ასევე სიტყვა მშვილდი გამომდინარეობს შურდ-ულიდან, ხოლო თვით სიტყვა შურდული (შურდული) ნიშნავს „სული დაულიე“.

მეორეს მხრივ ჩვენი აზრით იმავე კოპულთან უნდა იყოს დაკავშირებული რუსული Пуля და ინგლისური bullit (ტყვია), რადგანაც კოპული (ისარი, შურდული) უნდა წარმოადგენდეს ტყვიის პირველსახეს, რომელმაც შემდგომში, გვიან შუასაუკუნეებში, როდესაც ის (ტყვია) შემოვიდა ხმარებაში, მიიღო ტყვიის მნიშვნელობა.

აქვე მოვიტანთ მცირე ამონარიდს სტატიიდან „კოპალა“ (ა. გელოვანი გვ.261).

„კოპალა – კარატელის სახელთანაა დაკავშირებული ამბავი ზეციდან ჩამოშვებული ხატისა და შიბისა (შეადარე პალადიონის და არტემიდეს გამოსახულებათა ჩამოვარდნა ზეციდან ბერძნულ მითებში, დავა მათი მფლობელობისათვის ტროელებსა და აქაველებს შორის, აგრეთვე ტავრიდის მეფესა და ბერძნებს (ატიკელებს) შორის. ეს ხატი და შიბი მწყემს ფშაველ და ხევსურ ქალებს უხილავთ და ცილობა გაუმართავთ, თუ რომელს რგებოდა ციური წყალობა. ბოლოს წყლით სავსე ჯამი დაუდგამთ: რომლის მხარესაც წყალი დაიღვრება, იმას გვერგოსო. ხატი ხევსურს რგებია, შიბი (ოქროს ჯაჭვი) – ფშაველს, ხატი განსახიერებაა კარატელ კოპალასი, მისი სიმბოლოა, როგორც დევთა მჟლეტისა, შიბი კი ციხე-გორს დარჩა“.

აქ ჩვენს ინტერესს იპყრობს სიტყვა „შიბი“, რომელიც არის ოქროს ჯაჭვი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ყელს ჯაჭვი თვალმარგალიტისა“. ასევე განიმარტება, როგორც წნული გოდრისა, საბძლისა, ღობისა და მისთ. თავზე გადავლებული სიმტკიცისათვის. ასევე ქსოვილში გავლებული წნული ჭრელ ზოლებად.

სწორედ, რომ წვნა მეგრულად გამოითქმის, როგორც „შიბ-უა“, ხოლო შიბი-ლი ნიშნავს დაწნულს, ასე რომ ეს სიტყვაც მეგრული წარმომავლობისაა, რადგანაც ის სწორედ მეგრულად განიმარტება.

**კოწოლი** (კონწოლი) – სულხან საბა ორბელიანს განმარტებული აქვს, როგორც თმის ნაწნავი (დალალი). ასევე წენგოთა და ხულთა ტევანი (კონწოლი). ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა განიმარტება ასევე, როგორც **„წაწვეტებული თავი რისამე – წვეტი“** (ქუდის კონწოლი, გუმბათის კონწოლი).

მოვიყვანოთ ნაწყვეტი მ.კახაძის წიგნიდან **„ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“** (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ.28): „ვინაიდან თორნიკე II (იგულისხმება პროტოსპათარი და ელადის სტრატეგოსი, რომელიც მოღვაწეობდა მე-11 საუკუნეში – ნკ.) ქართველია, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი ზედწოდება „კონტოლეონი“ არის ქართული სიტყვა „კონწოლი“, ისევე, როგორც დავით აღმაშენებლის ეპითეტი „კონწოლი“: „ალვის ხე ტანი, მსგავსად შემტანი, აქვს კოწოლ-დაყრით კვიპაროზისა“ (აბდულ მესია 49,2): ანდა დავითი რომ ამბობს, „სინანულის გალობაში“: „მეგვიპტური გულმძიმობაი კოწოლი თმათაი და სხუანი... უწარმდებესად მოვიგე“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 104: კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 240). ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ სახელი „კონტოლეონი“, ისევე როგორც, „თორნიკე“ ბერძნულ ონომასტიკონში, არ მოიპოვება, ბერძნულ დამწერლობაში გადმოცემა კომპლექსისა „ნწ“ ნტ-თი არ უნდა იყოს შეუძლებელი“.

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს თვით სიტყვა „კონწოლი“, ხომ არ არის ის მეგრული სიტყვა „კვანწილის“ (კოპწია, კოხტა) შესაბამისი, ისევე, როგორც სიტყვები: გოლა, გვალა (მთა); თოლი, თვალი; და ა.შ.

რაც შეეხება ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობას „წვეტს“: მეგრულად „კოწორია“ ნიშნავს „კენწეროს“ და ასე რომ, ეს სიტყვაც აქედან გამომდინარედ უნდა მივიჩნიოთ.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც დავით აღმაშენებლის ეპითეტი „კონწოლი“, ასევე თორნიკე II-ს ზედწოდება „კონტოლეონი“ დაკავშირებულია კოლხურ „კვანწილთან“ და მართლაც, თმის დალალი, კულული სწორედ, რომ კოპწიობისა და სიკოხტავის ასოციაციას იწვევს.

**მი** – მეგრულად და ებრაულად (ივრითი) „ვინ“, ასეთი ზუსტი თანხვედრა ამ სიტყვისა ორ არამეზობელ ერების ენებს შორის ადასტურებს უძველესი პალესტინისა და კოლხეთის ხალხების გენეტიკურ ურთიერთკავშირზე. ეს რომ, უბრალოდ, მოსაზრება არ არის, ამის დასტურია ამონარიდი ზვიად გამსახურდიას წიგნიდან „საქართველოს სულიერი მისია“, რომელიც შესავალში მოვიტანეთ და სადაც პალესტინა მოიაზრება პალეოკავკასიური რასსის ფარგლებში.

მოვიტანოთ პასაჟი მამუკა (მამული) ჯღარკავას წიგნიდან „ბიბლიურ ციფრებში განივთებული საიდუმლო“, თბილისი, 1997, გვ. 132-133: „პირველ დღეს ღმერთმა შექმნა ცა და მიწა; როგორც ვიცით, ეს დღე ხუთშაბათია, რადგანაც მეგრულად ცაშხა არის ცის დღე და ეს დღე არის ცა და მიწის შექმნის პირველი დღე (რა თქმა უნდა, პირობითად – ავტ.)... მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა მზე. ეს პირდაპირ ემთხვევა ბიბლიურ მე-4 დღეს, ანუ ბჟაშხას, რომელიც ნიშნავს მზის დღეს, ანუ მზის გაჩენის, შობის დღე. მარტო ეს მაგალითი კმარა იმის სათქმელად, რომ ბიბლია დაწერილია სიმბოლოებით და შეფარვით მეგრული ენის მცოდნე გარკვეული წრის მიერ, რომელსაც წინარე ენას უწოდებს მეცნიერება“.

აქვე მოვიყვანთ მცირე ამონარიდს რაინერ მარია რილკეს წიგნიდან „წერილები“, თბილისი, 2002, გვ. 41: „ფაბრ დ'ოლივეს (ფრანგი პოეტი და ფილოსოფოსი) საჭიროდ მიაჩნია შევისწავლოთ და ერთმანეთს შევუჯეროთ ინდუსების, ჩინელების და ეგვიპტელების უძველესი კოსმოგონიები; იგი ნელ-ნელა მიუყვებოდა ამ გზას, ვიდრე ბოლოს და ბოლოს შესაქმეს არ მიადგა და არ დაადგინა, რომ ნამდვილ ძველ ებრაულ ენას (მან საფუძვლიანად აღადგინა ეს ენა და გამოსცა ებრაული ენის ისტორია და გრამატიკა) თითქმის არაფერი აქვს საერთო შესაქმეს ცნობილ ტექსტებთან, და მოსეს ძველებრაულად არ წარმოუთქვამს თითქმის არც ერთი იმ სიტყვათაგანი, რომლებსაც მას მიაწერენ ბერძნულსა და ლათინურში“.

თუ ყველაფერ ზემოთ თქმულს ერთიანად გავიაზრებთ, გავითვალისწინებთ მოცემული სიტყვის (მი) იდენტურობას ორივე ენაში, ასევე ზოგიერთი ტოპონიმის, მაგალითად, „გოლგოთა“. (იხ. ჟურნალი „აია“ ,7. 1999. გ.37-39) ჩვენეულ კოლხურ ეტიმოლოგიას და მრავალ სხვას მაშინ. აშკარაა, რომ ის, რაზეც ლაპარაკია „საქართველოს სულიერ მისიაში“, სრულიად რეალურია.

**მოვლენა** – ეს სიტყვა ყველასათვის გასაგებია. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ბუნებრივი მოვლენები, ფენომენები იგულისხმება. თუ ამ სიტყვას დავშლით მორფემებად, გვექნება მო-ვლ-ენა, რომელშიც ფუძე არის „ვლ“, იგივე ფუძე გვაქვს ამ სიტყვის რუსულ შესტყვისშიც **явление** (яв-ление) (გ. ოთხოზორია). ხოლო ინგლისურ შესატყვისში ფუძე უკვე შეკვეცილია **evcnt** (ე-ვ-ენტ).

ამ სიტყვათა ეს საერთო ფუძე, ჩვენი აზრით, მომდინარეობს კოლხური (მეგრულ-ლაზური) ვალ-ი-დან, “გო-ვალ-უ” – იელვა, “ვალ-უა” – ელვა. ელვა სწორედ ერთ-ერთი ის ბუნებრივი ფენომენია, მოვლენაა, რასაც კაცობრიობა თავისი ისტორიის განმავლობაში ახსნას ვერ უძებნიდა და ის განიხილებოდა, როგორც ღმერთის რისხვა კაცობრიობის მიმართ. დღეს, როდესაც ეს მოვლენა მეცნიერულად ახსნილია, მიუხედავად ამისა ის მაინც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ბუნებრივ მოვლენას და ნიშანდობლივია ის, რომ სიტყვა მო-ვლ-ენა (Явление, ე-ვ-ენტ) მომდინარეობს კოლხური ვალ-ი-დან (ელვადან).

**მოღება** – ძველი და კუთხური (გავრცელებულია ხევსურეთსა და ფშავში). სახელი მოიღებს ზმნის მოქმედებისა – მოიტანს. გავრცელებულია ცნობილია ფრაზა „მოწყალების მოღება“ – კეთილად მოკიდება რამისადმი – შეწყალება, კეთილის ნებება.

მოიღო (მოიტანა) მეგრულად გამოითქმის, როგორც „ქიმიღუ“, რომელიც იშლება (ქო) მიღუ (კი-მოიტანა), ასე რომ, „მოიღო“ მომდინარეობს მეგრული „მოღალადან“ (მოღ-ალა) მოტანა.

ეს არის აშკარა კოლხიზმი აღმოსავლეთის მთიანეთში, სადაც კოლხურ ძირთა შემცველი სიტყვები იშვიათობას არ წარმოადგენს.

აღმოსავლეთის მთიანეთში კოლხური განსახლების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამონარიდი ვალერიან ფირანიშვილის სტატიიდან „შეხვედრები კონსტანტინესთან“ (გაზეთი „გზა ერთობისა“, 1990, გვ.14): „სიტყვა მელხის გაგონებაზე ბ-ნი კონსტანტინე დიდად დაინტერესდა. ადრე ამ ხალხს დაბა გვალეთში უცხოვრია, ძირითადად, კი უთუნკალესა და მაისტის რაიონებში ხევსურეთის საზღვრებზე იყვნენ განლაგებულნი. ბატონიშვილს (იგულისხმება ალექსანდრე ყაზბეგი – ნ.კ.) ძალიან უყვარდა ისინი თურმე, ენაც კარგად იცოდა მათი, მათს დღეობასა და მწუხარებას არ აკლდებოდა. ხშირად ამბობდა, რომ მელხები დიდი საქართველოდან, კოლხეთიდან არიან მოსულებიო. ქართველთა მეფეს ყველაზე ერთგული ხალხი საზღვრებზე, განსაკუთრებით კი, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებზე ჰყავდა დასახლებული და მართლაც, თუ კარგად არ დაუკვირდით, ვერ შეატყობთ, ღმერთმანი, რომ ისინი ახლა სხვა ტომსა და ჯიშს ეკუთვნიან. მელხები გამორჩეული არიან თავისი ხასიათით, ქცევით, მიხვრა-მოხვრით, სიარულით, ლაპარაკით, ადათით და ზნე-ჩვეულებით, მათ არ სჩვევიათ მოძმის ღალატი, არიან გაჭირვებულთა დამხმარენი. აკვნიდანვე თან მოსდევთ ზრდილობა, სტუმრის განსაკუთრებული მიღება. მელხის ოჯახი მოგაგონებს მეგრელი გლეხის ოჯახს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ქვის სახლები აქვთ და კავკასიონის მთის მიუვალ კლდეებში ცხოვრობენ. ვახტანგ მეფემაც ხომ მელხების ერთი ნაწილი პალესტინაში ჩაასახლა – ჯვრის მონასტრის დასაცავად. ისინი რომ მაშინ ქრისტიანები არ ყოფილიყვნენ, ჩვენი ბრძენი მეფე მათ ასეთ დიდ მისიას არ მიანდობდა. დიდი ერთგულება ქვეყნისა და მეფისა – თორემ განა ეგრე ადვილია, ჩიტმა თავისი ბაღდადი ნებაყოფლობით დასტოვოს? მელხი მათ ენაზე მზეს ნიშნავს და მხარესაც იმიტომ ჰქვია მზიანეთი. იცით, ჩემო შვილებო, მელხები ისე, როგორც ჩვენი მეგრელები, დედას ნენას ეძახიან, კოლხეთი კი მათ წმინდა ენაზე მიწის ქვეშ წყალს ნიშნავს?! ქუდი, ჩოხა და სხვა ბევრი პირადი ნივთები მეგრულად და მელხიურად ერთნაირად ითქმება, მათაც აქვთ თავისი მერხეული და კიდევ ვინ იცის რამდენი რამ... დღესაც კი, ნაცრის ქვეშ ჰღუის მათი ყოფილი სამშობლოს და ქრიტეს რჯულის სიყვარული ამ პატარა ხალხში“.

ჩვენ ვთქვით, რომ კოლხიზმები მთიანეთში იშვიათობას არ წარმოადგენს. ამის მაგალითია, თუნდაც ამ ამონარიდში ნახსენები დაბა გვალეთი, გვალა მეგრულად მთას ნიშნავს და ასე, რომ „გვალეთი“ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მთიანეთი“, თვით სახელწოდება მელხი (ციტატაში ის თითქოს მზეს ნიშნავს) შეიძლება აღნიშნავდეს მელე-ხე (გაღმა ბინადრობს), ან კიდევ მელე-ხილი (გაღმაშობილი). გაღმა-გამოღმა ამ შემთხვევაში შეიძლება აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს ნიშნავდეს.

მე არ ვიცი, სიტყვა „მოღება“ მელხების მიერ იქნა თუ არა დამკვიდრებული მთიანეთში (რაც ნაკლებად სავარაუდოა), თუ ის უფრო ადრინდელი მოვლენაა. ერთი რამ კი ცხადია, ეს სიტყვა “შუმი” კოლხური სიტყვაა.

ასევე კოლხური წარმომავლობისა უნდა იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ტომი წანარები, (ს.კუცია) „რომელიც აქტიურად გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე VIII-IX ს.ს.-ში, როდესაც მათი ჰეგემონობით ჩამოყალიბდა კახეთის საქორეპისკოპოსო, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეჭვს არ იწვევს წანართა ქართველურობა. არის მოსაზრება წანარების კავკასიური წარმომავლობის შესახებ, წანარებს ეხება ჯავახიშვილი „ქართველთა ერის ისტორიის“ II წიგნში. მკვლევარი აღნიშნავს, წანარები მთიელები და „არაგვის ხეობის მცხოვრებნი იყვნენ“-ო. (ივ.ჯავახიშვილი, “ენციკლოპედიური ლექსიკონი“ „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002 წ.გვ.736). როგორც ცნობილია, ქართული ასო-ბგერა „წ“-ს შეესაბამება კოლხური „ჭ“ (მაგალითად: ქართული „წითელი“ – მეგრული „ჭითა“, ქართული „წვიმა“ – მეგრული „ჭვიმა“ და ა.შ.), ასე, რომ „წანარი მეგრულ-ლაზურად იქნება „ჭანარი“. რაც ნიშნავს „ჭანელს“, ისევე, როგორც ოდიშარი-ოდიშელი, ხუნწარი-ხუნწელი და ა.შ. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ისინი კოლხები იყვნენ.

**მუზა** – ბერძნულად (Mousa) ხელოვნების ქალღვთაების სახელია. ასევე ნიშნავს მუსიკას (Mousica), სიმღერას და ა.შ. როგორც ვხედავთ, ბერძნულში არის მუსა და არა მუზა (ბერძნულს არა აქვს ასო-ბგერა „ზ“), ხოლო ქართულში დამკვიდრებული „მუზა“ რუსულის გავლენაა. ამ ორივე სიტყვას (მუზა და მუსიკა) ერთი და იგივე ფუძეები გააჩნიათ და ისინი უნდა მომდინარეობდნენ მეგრული მუ-სარკოდან (რა საკვირველი, საოცარი), მართლაც მუზა პოეტური შთაგონების წყაროა და მისი შემოსვლა ადამიანის შეგნებაში მართლაც შეიძლება საოცარ მოვლენად ჩაითვალოს. იგივე შეიძლება ითქვას მუსიკაზეც, რომლის დაწერილობაშიც (**Mousica**), უფრო ნათლად შეინიშნება ფრაზა მუ-სარკო-ს კვალი, ვიდრე სიტყვა მუზაში (**Mousa**), რომელშიც ეს ფრაზა ძალზედ შეკვეცილია.

როგორც ცნობილია, ქართული (კოლხური) პოლიფონიური სიმღერები აღიარებულია მთელს მსოფლიოში, რომელთაც უძველესი ფესვები გააჩნიათ და არაფერი გასაკვირი არ უნდა იყოს იმაში, რომ სიტყვების მუზა და მუსიკა ეტიმოლოგიები კოლხურთან იყოს დაკავშირებული.

კიდევ მეტი, კოლხურთანაა დაკავშირებული თუ შეიძლება ასე ითქვას, მსოფლიოს პირველი ბარდის, ორფეოსის (იხ. ჟურნალი „აია“ №7, 1999, გვ. 37-39.) სახელის ეტიმოლოგია.

აქვე შევნიშავთ, რომ სიტყვა **Mousa**-დან გამომდინარეობს ბერძნული **Mouseion**-ი, რაც ნიშნავს მუზათა ტაძარს და რომლიდანაცაა მიღებული თანამედროვე მუზეუმი (Mouseum).

**ატურა** – (nascor) – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დაბადებას, ბუნებას, სამყაროს და ა.შ. ეს სიტყვა მომდინარეობს სიტყვიდან nascor (არქაული ფორმა gnascor), საერთო ფუძით gigno-სთან და ნიშნავს: დაბადებას, წარმომავლობას, ჩანასახს, დაწყებას და ა.შ. ამ სიტყვის არქაულ ფორმას **gnascor** მივყავართ მეგრულ სიტყვასთან გინოსკვირი (გინოსკვილი), რაც ნიშნავს გადანასკვულს, გადაფსკვნილს (აქედანვეა მეგრული სიტყვა სკი, სკირი, სკუა – შვილი). მართლაც როდესაც ადამიანი იბადება, ის ჭიპით გადაფსკვნილია დედის სხეულთან, სწორედ ეს მოვლენაა ასახული ლათინურ სიტყვაში „gnascor“ და ამ სიტყვას მიღებული აქვს დაბადების მნიშვნელობა, რადგანაც ამ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ დაბადების პროცესში.

**ნუგზარ კვაშილავა**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ფეხბურთი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე ბევრად მეტია”...



“ლივერპულის” ლეგენდარული მწვრთნელი ბილ შენკლი ისტორიაში შევიდა არა მხოლოდ როგორც კარგი სპეციალისტი, არამედ, როგორც პიროვნება, რომელიც გულშიჩამწვდომ ფრაზებს ამბობდა. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრაზა ეს **არის: “ზოგს ჰგონია, რომ ფეხბურთი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. მერწმუნეთ, ის ბევრად მეტია”...**

ამ სიტყვებს ცხოვრება ადასტურებს. მაგალითად, ქვეყნებს შორის ომები ტერიტორიული პრეტენზიებით ან სხვა სერიოზული მიზეზით იწყება, მაგრამ 1969 წელს, სალვადორსა და ჰონდურასს შორის კონფლიქტი საფეხბურთო მატჩმა გამოიწვია. 4-დღიან დაპირისპირებას ორივე მხრიდან 3000-მდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

1982 წელს, ფოლკლენდის კუნძულების გამო არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის ორთვიანი ომი მიმდინარეობდა, რომელიც არგენტინის მარცხით დამთავრდა და ამ ქვეყნების ნაკრებების თამაშებში დუღილის ტემპერატურა მაქსიმუმს აღწევს.

ასეთი საფეხბურთო ომები საქართველოსაც ჰქონდა და ერთი მათგანი ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერა – გულშემატკივარს დღემდე ახსოვს მატჩი, რომელიც 2003 წლის 30 აპრილს თბილისში საქართველოს და რუსეთის ნაკრებებს შორის გაიმართა. იმ დღეს ჩვენმა ნაკრებმა 1:0 გაიმარჯვა და ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრაც ჩაატარა.

ჩვენ ამ მატჩთან დაკავშირებულ რამდენიმე უცნობ ისტორიას მოგიყვებით, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ადამიანების განწყობის ჩამოყალიბებაში ფეხბურთს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია და რომ მას პოლიტიკურ თამაშებში ხშირად იყენებენ.

## ჩაშლილი მატჩი

რეალურად, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ეს შეხვედრა 2002 წლის 12 ოქტომბერს უნდა გამართულიყო. საქართველო-რუსეთის მატჩზე ჩამოსვლას რუსების ფანები მოერიდნენ და თბილისს მცირერიცხოვანი დელეგაციით ესტუმრნენ. რუსულ დელეგაციას სპორტის მინისტრი ვიაჩესლავ ფეტისოვი ხელმძღვანელობდა. გვესტუმრა ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ძასოხოვიც. რუსი ჟურნალისტები გაფართოებული თვალებით უცქერდნენ, როცა თბილისის **“დინამოს”** ყოფილი მცველის, აფხაზი ახრიკ ცვეიბას სტადიონზე გამოჩენას ხალხი აპლოდისმენტებით შეხვდა – არადა, პირიქით ელოდნენ.

მოედანზე დაძაბული, ხისტი ბრძოლა გაიმართა, რეალური საგოლე მომენტები კი არც ერთ გუნდს არ შეუქმნია. პირველი ტაიმის ბოლოს, 41-ე წუთზე, **“ლოკომოტივის”** სტადიონის ელექტროსისტემაში მომხდარი ავარიის გამო შუქი გამოირთო. ორ წუთში პრობლემა მოგვარდა და ნორვეგიელმა არბიტრმა ტომ ჰენინგ ოვრებომ მატჩი განაახლა, მაგრამ გავიდა კიდევ სამ წუთი და შუქი ისევ გამოირთო. ელექტროენერგიის ალტერნატიული მიწოდების წყარომ ვერ იმუშავა, ენერგეტიკოსებს პრობლემის მოგვარების იმედი გადაეწურათ და მატჩი შეწყდა.

ეს იყო უდიდესი სირცხვილი, რის გამოც საქართველოს ბნელი და ჩამქრალი ქვეყნის იარლიყი ერგო წილად. სხვათა შორის, ერთ თვეში საერთაშორისო საკალათბურთო შეხვედრის დროსაც დაახლოებით იგივე მოხდა – თბილისის **“დინამომ”** ვერის პარკში ფიბა-ევროპის რეგიონული თასის გათამაშებაში უკრაინულ იუჟნის **“ხიმიკს”** უმასპინძლა. დარბაზში დენი ორჯერ გამოირთო და თამაში 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო, თუმცა ამ მორიგ ელექტროინციდენტს დიდი ხმაური არ მოჰყოლია.

ეს ის დროა, როცა შევარდნაძის ხელისუფლება უკვე საფუძველმორყეულია, როდესაც პანკისის ხეობაში ყოველდღე იტაცებენ ადამიანებს, ლევან კალაძე კი უკვე გატაცებულია... ამ დროს სტადიონზე შუქის გათიშვა ქვეყნის იმიჯზე კიდევ ერთი, დამანგრეველი ძალის დარტყმა გახლდათ. მაინც ვის სასარგებლოდ ჩაქრა შუქი? ამის თქმა ძალიან ძნელია, რადგან თითქმის თანაბარი თამაში მიდიოდა.

რუსეთის სატელევიზიო არხ ОРТ-ს ქართველი კორესპონდენტის თქმით, ის ხალხში მოსმენილ ვერსიებს ავრცელებდა – თითქოს, მატჩის ჩაშლით **სფფ**-ის მაშინდელი პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას მოწინააღმდეგეები იყვნენ დაინტერესებულნი; რომ ეს ფაქტი ქართველ მოთამაშეთა უსუსურობით გამოწვეულ შიშს უკავშირდებოდა და ასე შემდეგ.

რეალობა კი სხვაგვარი იყო, რადგან მაშინ ჩვენი ნაკრები უსუსურად ნამდვილად არ გამოიყურებოდა. ლოგიკითაც ასეა, რადგან მასპინძელს შეხვედრის ჩაშლა და თავზე ლაფის დასხმა არაფერში აწყობდა. სფფ-ის პრეზიდენტი ჟორდანია წუხდა, რომ მატჩის ჩაშლის გამო ისედაც ღარიბი ფედერაცია კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან სტუმრების ხელახალი ვიზიტის დაფინანსება მოუწევდათ.

სფფ-ის მაშინდელი გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ამბობდა:

**“ამ მატჩის მომზადება ფეხბურთის ფედერაციას 200 ათასი ლარი დაუჯდა. ახლა იგივე თანხაა გადასახდელი, რადგანაც იგივე ღონისძიებები უნდა ჩავატაროთ და ამას დაემატება რუსეთის დელეგაციის მიღება თბილისში. ეს დაახლოებით 50 ათასი დოლარი იქნება”.**

ფედერაციას პრობლემა შეექმნა იმ თურქულ ტელეკომპანიასთანაც, რომელმაც მატჩის პირდაპირი ტრანსლაციის უფლება გვარიანი თანხის საფასურად მოიპოვა.

საქართველოსა და რუსეთის საფეხბურთო ორგანიზაციების პრეზიდენტებმა – მერაბ ჟორდანიამ და ვიაჩესლავ კოლოსკოვმა უეფას დელეგატ რუდოლფ ბატასთან ერთად შეხვედრის გადადებაზე მოილაპარაკეს.

30 აპრილს “ლოკომოტივის” სტადიონზე შედგა საქართველო-რუსეთის მატჩი, რომელშიც ქართველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს. თამაშის შემდეგ საქართველოში ზღვა სიხარულმა დაისადგურა – სტადიონის გარეთ ათასობით ადამიანი ხარობდა, ვაკიდან თავისუფლების მოედნისკენ დაიძრნენ შეძახილებით – **“საქართველო, საქართველო!”**. იყო დროშების ფრიალი და ბოლოს ფოიერვერკი თავისუფლების მოედანზე...

ამ ისტორიას არა წარსულის, არამედ მომავალზე ფიქრით ვწერ და ჩვენი ნაკრების წევრებს მივმართავ – ბიჭებო, ქართველი ხალხის გახარებას მაშინდელივით ცოტა რამ სჭირდება. ეს სიხარული კი ქვეყნის სიყვარულიდან მოდის, რადგან ფეხბურთი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო თამაში.


## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი “კავკასია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374


## იუმორი

მოახლე პირველ დღეს დიასახლისს ურიგდება:
– 150 ლარი თვეში.
– მაწყობს, ქალბატონო.
– კატა მყავს, კატას როგორ ეწყობით?
– ეგ არაფერი, როცა მშიოდა, შემწვარი კურდღელიც მიჭამია.

* * *

ზურიკელა ვაშალომიძე პოლიციაში რეკავს:
– ილიკომ შუშის თვალი ამოიღო და ეზოში გადააგდო...
– მერე, აქ რას რეკავ? “ლიმონკა” ხომ არაა, თვალია. ადექი და მოძებნე.

* * *

ცოლი ქმრის სანახავად მივიდა ციხეში და ეჩურჩულება:
– როგორაა იმ ქლიბის საქმე, სამი დღის წინ რომ შემოგიგზავნე?
– ჯერ არ ვიცი, ხვალ სამ საათზე მიკეთებენ ოპერაციას.

* * *

– სიკვდილი როგორ წარმოგიდგენია?
– ეკითხება ბუზი თაგვს.
– მავთულზე წამოგებული ყველი. შენ, ბუზო?
– მე? აი, მელოტი, ღიპიანი, ფლოსტებიანი უსაქმური კაცი ოთხად გაკეცილი გაზეთით ხელში.


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.




დომენტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge